

დისპრიმინაცია,
სიძულვილით მოტივირებული
და სიძულვილის ენა

საერთაშორისო სამართლებრივი
სტანდარტების, საქართველოს ეროვნული
კანონმდებლობისა და სასამართლო
პრაქტიკის ანალიზი

საქართველოს უზენაესი სასამართლო
კვლევისა და ანალიზის ცენტრი

თბილისი
2019

**DISCRIMINATION,
HATE CRIME
AND HATE SPEECH**

**Analysis of International Standards,
National Legislation
and Judicial Practice**

THE SUPREME COURT OF GEORGIA

The Research and Analysis Centre

Tbilisi

2019



კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს
ანალიტიკური განყოფილების
კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორი და მთავარი რედაქტორი

მარინე კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი, ანალიტიკური
განყოფილების უფროსი

ავტორი

ელენე ლვინჯილია

ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის
უფროსი კონსულტანტი

რედაქტორი

ნინო ძიძიგური

საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსულტანტი,
ფილოლოგიის დოქტორი

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარიკა მალალაშვილი

© საქართველოს უზენაესი სასამართლო 2019

ISBN 978-9941-8-1996-4



The Research was conducted by Research and Analysis Centre
Analytical Department
The Supreme Court of Georgia

AUTHOR AND CHIEF EDITOR

Prof. Dr. Marina Kvachadze

The Head of Analytical Department

AUTHOR

Elene Gvinjilia

Senior Consultant of Research and Analysis Centre

EDITOR

Dr. Nino Dzidziguri

Consultant of the Supreme Court

TECHNICAL EDITOR AND DESIGN

Marika Maghalashvili

ნინამდებარე კვლევა

ნინამდებარე კვლევა მომზადებულია საქართველოს უზენაესი სასა-მართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევის და ანალიზის ცენ-ტრის მიერ.

საყოველთაოდ ალიარებულია, რომ ადამიანის უფლებები და თავისუფ-ლებები საზოგადოებაში მთავარი ფასეულობაა, რომელთა დაცვა სა-ხელმწიფოს უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. ადამიანის უფლებათა დაც-ვის უმთავრესი პრინციპი ადამიანების თანასწორუფლებიანობის უზ-რუნველყოფაა. შესაბამისად, არ შეიძლება ადამიანთა განსხვავება რასის, ეთნიკური და ეროვნული კუთვნილების, კანის ფერის, სქესის, რელიგი-ის, სექსუალური ორიენტაციისა და სხვა ნიშნების საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშის მიზანია საქართველოში დისკრიმინაციასთან, სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან და სიძულვილის ენასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეების სამართლებრივი მიმოხილვა და ანალიზი ადამიანის უფლებების დაც-ვის კონსტიტუციურ და საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებ-თან მიმართებით.

შესაბამისად, ნაშრომში მკითხველი გაეცნობა როგორც ქვეყანაში არსე-ბულ სამართლებრივ გარემოს, ისე მართლმსაჯულების ევროპული სასა-მართლოს გადაწყვეტილებებს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამარ-თლოს პრეცედენტულ სამართალსა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას-თან დაკავშირებით გაეროს, ევროსაბჭოსა და ევროკავშირის მიერ დამ-კვიდრებულ საერთაშორისო სტანდარტებს. ამასთან, კვლევა მოიცავს სხვა-დასხვა ქვეყნის შიდა კანონმდებლობას, რასისტული, რელიგიური, ჰომო-სექსუალური ხასიათის ქმდებების კრიმინალურაციასთან დაკავშირებით და ასევე რასიზმისა და შეუწყარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომი-სიის (ECRI) შესაბამის პოლიტიკასა და რეკომენდაციებს.

ნაშრომი ეფუძნება როგორც ადამიანის უფლებადაცვითი ორგანიზა-ციების მიერ ჩატერებულ კვლევებსა და ანგარიშებს (EMC, WISG), ისე საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებს.

ნინამდებარე კვლევა ნაშრომადგენს დამხმარე მასალას საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის.

ვფიქრობთ, კვლევა საინტერესო იქნება არა მხოლოდ მართლმსაჯუ-ლების სფეროში მოღვაწე პირებისათვის, არამედ იურიდიული ფაკულ-ტეტების პროფესორ-მასნავლებლებისა და სტუდენტებისათვის, ასევე ამ საკითხით დაინტერესებული საზოგადოებისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილება მადლობას უხდის საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამართლებ-რივი მხარდაჭერის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლია ყიფიანს.

PREFACE

This research is conducted by the Research and Analysis Center of the Analytical Department of the Supreme Court of Georgia.

It is widely acknowledged that human rights and freedoms are fundamental values in society, the protection of which is the most important task of the state. The fundamental principle of human rights protection is to ensure the equality of human beings. Accordingly, differentiation in humans on the basis of race, ethnicity and nationality, color, sex, religion, sexual orientation, and other characteristics is strictly prohibited.

Based on the foregoing, the purpose of this research is to provide in-depth review of the judicial practice on Discrimination, Hate Crime and Hate Speech in line with constitutional and international human rights standards. Therefore, by this publication, the reader gain insight into both the legal environment in the country and the judgments of the European Court of Justice, the European Court of Human Rights case law and the international standards established by the UN, the Council of Europe and the European Union. In addition to this, the study also covers the domestic laws of various countries concerning the criminalization of acts of a racial, religious or homosexual nature, as well as the relevant policies and recommendations of the European Commission against Racism and Intolerance (ECRI).

The research is based on studies and reports conducted by various Human Rights Organizations (EMC, WISG), as well as parliamentary reports of the Public Defender (Ombudsman) of Georgia.

We believe that this brochure will be of particular importance not only to people working in the Judiciary, but for the academics, students and all the other persons interested in human rights issues.

The Analytical Department of the Supreme Court of Georgia would like to express their sincere gratitude to the Head of the Legal Support of the Supreme Court of Georgia, Ms. Lia Kipiani

სარჩევი

აპრევიატურა	8
საკითხებს მოკლე მიმოხილვა	9
რასობრივი დისკრიმინაცია (სსკ-ის 142'მუხლი)	14
რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შევლა და დევნები (სსკ-ის 155-ე და 156-ე მუხლები)	39
სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები	
ოჯახში ქალადობა, ოჯახური დანაშაულები და ესლითა მიმართ ქალადობის შემთხვევები	57
პომო/გი/ფრანსუაზობიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური მრიენდაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე	66
დასკვნა	75
დანართი	81

აპრევიატურა

CEDAW	კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
CERD	საერთაშორისო კოვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ
COE	ევროპის საბჭო
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია
ECHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
ECJ	მართლმსაჯულების ევროპული სასამართლო
ECRI	ევროპული კომისია სარიზმისა და შეუწყისარებლობის წინააღმდეგ
EU	ევროპის კავშირი
UDHR	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია
UNESCO	გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია
აშშ	ამერიკის შეერთებული შტატები
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
სსკ	შისხლის სამართლის კოდექსი
სტამბოლის კონვენცია	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია

საკითხების მოკლე მიმოხილვა

საქართველოს კონსტიტუცია ადგენს საქართველოში ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმტკიცების ძირითად პრინციპებს. კერძოდ, კონსტიტუციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი პირდაპირ უთითებს, რომ „სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუკალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას, ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთვის გამომდინარებს კონსტიტუციის პრინციპებიდან“.¹ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ძირითად უფლებათა ვრცელ და დახვენილ ჩამონათვალს შეიცავს საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავი, რომელიც მაღალი სტანდარტით იცავს ადამიანის ძირითად უფლებებს. არ არსებობს არცერთი ძირითადუფლებრივი სიკეთე, რომელიც პირდაპირი თუ არაპირდაპირი ფორმით არ არის დაცული მეორე თავის ნორმებით. თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს კონსტიტუცია დამატებით მიუთითებს იმ უფლებებზე, რომლებიც უშუალოდ არ არის მოხსენიებული მის ტესტში, მაგრამ დაკონკრეტებულია ადამიანის ძირითადი უფლებების განმამტკიცებელ სხვადასხვა საერთაშორისოსამართლებრივ აქტში. ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებები და თავისუფლებები არის ის უფლებები, რომლებიც ერთხმად არის განმტკიცებული შესაბამისი საერთაშორისოსამართლებრივი აქტებით (მაგალითად, გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და სხვა) და დემოკრატიული სახელმწიფოების მიერ.²

1948 წლის 10 დეკემბერს, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (UDHR) პირველივე მუხლი აცხადებს, რომ: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. მათ მინიჭებული აქვთ გონიერა და სინდისი და ერთამანეთის მიმართ უნდა იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით“.³ საქართვე-

¹ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346?publication=35>

² კობახიძე ი., კონსტიტუციური სამართალი, 2019, გვ. 50.

³ იხ.: <http://ungeorgia.ge/uploads/UDHR-60Geo.pdf>

ლოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი სწორედ თანასწორობის კონსტიტუციურ პრინციპს განამტკიცებს ქვეყანაში და 1-ლი ნაწილი ადგენს სამართლის ნინაშე თანასწორობის უფლებას და იქვე კრძალავს დისკრიმინაციას არაამომწურავად ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით: „უკელა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით“⁴. თანასწორობის ცნება პირდაპირ კავშირშია დისკრიმინაციის აკრძალვასთან, თუმცა, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკაში ზოგიერთი ჯგუფი უფრო დაუცველია, ვიდრე სხვა ან ტრადიციულად მუდამ დისკრიმინაციის ობიექტია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები კონკრეტულ გარანტიებს ადგენს ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი უმცირესობების დასაცავად, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის უზრუნველსაყოფად განსაკუთრებული ზომების მიღებასთან დაკავშირებით და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების რეალიზებისათვის. კერძოდ, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეებს განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა, უფლება აქვთ ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეინარჩუნონ და განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედა ენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ. სახელმწიფო უზრუნველყოფს თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს მამაკაცებისა და ქალებისთვის. სახელმწიფო იღებს განსაკუთრებულ ზომებს მამაკაცებისა და ქალების არსებითი თანასწორობის უზრუნველსაყოფად და უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის“⁴. ამასთან, ცალკეული ჯგუფების საკითხებს არეგულირებს სპეციალური დოკუმენტები, მაგალითად, საერთაშორისო კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ

⁴ ლომთათიძე ე., ხანთაძე ნ., ზედელაშვლი დ., რიჩი უ., თანასწორობის კონსტიტუციური შემოწმება (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, გერმანიის ფედერაციული საკონსტიტუციო სასამართლოს, სამხრეთ აფრიკის საკონსტიტუციო სასამართლოს და აშშ-ის უზენაესი სასამართლოს იურისპრუდენციის ანალიზი), 2019, გვ. 17-18.

(CEDAW)⁵ და სხვა დოკუმენტები, რომლებიც მიზნად ისახავს ქალთა თანასწორობის დამკვიდრებას, მათ შორის, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროებში – აუცილებლობის შემთხვევაში, თანასწორობის ნამახალისებელი ზოშების მიღებით. ასევე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების, აგრეთვე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სფეროში თანასწორობის უზრუნველყოფის ღონისძიებებს მოითხოვს საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD),⁶ სადაც ერთ-ერთი მთავარი პირობაა ამ უფლებების უზრუნველყოფა ყველა ადამიანისათვის, მიუხედავად რასისა თუ ეთნიკური წარმომავლობისა.⁷

გარდა ამისა, თანასწორობის ცნებასთან მჭიდრო კავშირშია ტოლერანტობის ცნება. იუნესკო⁸ (UNESCO) ტოლერანტობის პრინციპთა დეკლარაციის მიხედვით: „ტოლერანტობა მსოფლიოს კულტურათა მდიდარი მრავალფეროვნების, თვითგამოხატვის ფორმებისა და ადამიანის ინდივიდუალობის გამოვლინების შესაძლებლობათა პატივისცემა, მიღება და მართებული გაგებაა. ეს ხელს უწყობს ცოდნას, ღიაობას, ურთიერთობას და აზრის, სინდისისა და შეხედულებათა თავისუფლებას. ტოლერანტობა თავისუფლებაა მრავალფეროვნებაში, ეს მარტივი მორალური ვალი კი არა, პოლიტიკური და სამართლებრივი მოთხოვნაცაა. ტოლერანტობა სათხოებაა, რომელიც ომის კულტურის მშვიდობის კულტურით შეცვლას განაპირობებს. ტოლერანტობა არ არის დამობა, მოწყალება ან შეწყნარება. უპირველეს ყოვლისა, ტოლერანტობა აქტიური დამოკიდებულებაა, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვა ადამიანების საყოველთაო უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების აღიარება. არანაირ გარემოებებში არ შეიძლება ამ ძირითადი ფასეულობების ხელყოფის გამართლება ტოლერანტობით. ტოლერანტობა უნდა გამოიჩინონ ცალკეულმა ადამიანებმა, ჯვეუფებმა და სახელმწიფოებმა“.⁹

⁵ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1994 წლის 22 სექტემბერს.

⁶ საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა 1999 წლის 16 აპრილს.

⁷ ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები (სახელმძღვანელო, მეორე განახლებული გამოცემა), რედაქტორები: ა. ეიდე, კ. კრაუზე, ა. როსა. გვ. 29-30.

⁸ გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია.

⁹ იხ.: <http://www.tolerantoba.ge/index.php?id=1317639567&kat=166>, მუხლი 1-ლი (1.1-1.2).

საქართველოში კონსტიტუციური უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტის როლში გამოდის სამართლის სხვადასხვა დარგი, მათ შორის, სისხლის სამართალიც. ადამიანთა თანასწორუფლები-ანობის დარღვევა, თუკი ეს არსებითად ხელყოფს ადამიანის რომელიმე უფლებას, იწვევს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წინამდებარე კვლევის მიზანია საქართველოში დისკრიმინაციასთან და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმების სამართლებრივი მიმოხილვა და ანალიზი ადამიანის უფლებების დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისოსამართლებრივ სტანდარტებთან მიმართებით.

თემის აქტუალობა განაპირობა საქართველოში გახშირებულმა შეუწყნარებლობის, ძალადობის, ქსენოფობის, აგრესიული ნაციონალიზმის, რასიზმის, მარგინალიზაციისა და დისკრიმინაციის შემთხვევებმა. კერძოდ, აღნიშნულს მონმობს ბოლო წლებში უმცირესობების მიმართ მტრული დამოკიდებულებით მოტივირებული გახმაურებული დანაშაულებრივი შემთხვევები. მაგალითად, ისეთი, როგორიც იყო 2016 წელს ულტრანაციონალისტური და ნეოფაშისტური ჯგუფების მიერ რუსთაველისა და აღმაშენებლის გამზირზე გამართული მსვლელობა, რომლის დროსაც დემონსტრაციის მონაწილეები დისკრიმინაციული და ქსენოფობიური განცხადებებით გამოიჩინა და უცხოელებს ქვეყნის დატოვებისკენ მოუწოდებდნენ. ასევე, აღნიშნული საპროტესტო მარშის მონაწილეებმა რამდენიმე თურქული რესტორნის ფასადი დააზიანეს, ხოლო რესტორანში კი, სადაც ხალხი იმყოფებოდა, პიროტექნიკის ცეცხლმოკიდებული სამუალებები შეაგდეს. ამასთან, 2018 წელს გამოვლინდა რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა, მათ შორის, განსხვავებული ეთნოსისა და ეროვნების ადამიანებზე ფიზიკური ძალადობისა და სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტები (მაგალითად, ქალაქ რუსთავის ინციდენტი, როდესაც ერთ-ერთ სამარმუტო ტაქსიში, რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით, კანის ფერის გამო, საქართველოს მოქალაქე თავს დაესხა კამერუნის მოქალაქეს). საქართველოში კვლავ პრობლემურ საკითხად რჩება „იეჰოვას მოწმეების“ მიმართ რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი დანაშაულის ფაქტები და ასევე, პომოფობიური/ტრანსფორმიური თავდასხმების გაზრდილი რაოდენობა. გარდა ამისა, ხშირია ოჯახში ძალადობის შემთხვევებიც.

კვლევის ფარგლებში, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანა-

ლიტიკური განყოფილების კვლევის და ანალიზის ცენტრის მიერ, შესწავლილი და გაანალიზებული იქნა სისხლის სამართლის კოდექტით (შემდგომში სსკ) გათვალისწინებული ცალკეული მუხლების საფუძველზე მიღებული განაჩენები. კერძოდ, საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებიდან გამოთხოვილ იქნა 2017-2018 და 2019 (პირველი 7 თვის მონაცამები) წლებში, მათ მიერ სსკ-ის 142-ე (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა), 142¹ (რასობრივი დისკრიმინაცია), 155-ე (რელიგიური წესის აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შეშლა), 156-ე (დევნა) მუხლების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების ასლები და ასევე, იმ განაჩენთა ასლები, სადაც სასამართლო მიუთითებდა დანაშაულის დამამდიმებელ გარემოებებზე და სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობდა სსკ-ის 53¹ მუხლით.¹⁰

¹⁰ საერთო სასამართლოებიდან მიღებულ იქნა 110 გადაწყვეტილება.

რასობრივი დისკრიმინაცია (სსპ-ის 142¹ მუხლი)

გაეროს კონვენციის – „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ 1-ლი მუხლი რასობრივ დისკრიმინაციაში მოიაზრებს დისკრიმინაციას „რასის, კანის ფერის, საგვარეულო, ეროვნული თუ ეთნიკური წარმომავლობის ნიშნებით“.¹¹ ამასთან, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლის თანახმად: „კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა“. აქვე უნდა ითქვას, რომ თავდაპირველად, კონვენცია მე-14 მუხლის მეშვეობით უზრუნველყოფდა მხოლოდ თავად კონვენციით გარანტირებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას დისკრიმინაციის გარეშე, რაც რასაკვირველია, დროთა განმავლობაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარების პარალელურად, აღარ იყო საკმარისი ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების ეფექტიანი დაცვის თავალსაზრისით. ამ ფაქტმა და კონვენციის, როგორც „ცოცხალი ორგანიზმის“ ბუნებამ განაპირობა კონვენციის დამატებითი ოქმების მიღება. კერძოდ, მიღებულ იქნა ევროპული კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი, რომელმაც გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის ფარგლები – თანაბარი მოპყრობის უზრუნველსაყოფად, ნებისმიერი უფლებით სარგებლობისას (ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებათა ჩათვლით). ასევე, 2000 წელს, ევროკავშირმა გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის სამართლის ფარგლები და მიიღო დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ, რომლითაც დაუშვებელია დისკრიმინაცია რასობრივი ან ეთნიკური საფუძვლით შრომით ურთიერთობებში, ასევე სოციალურ დახმარებებზე, სოციალურ უზრუნველყოფის სისტემაზე, საქონელსა ან სერვისებზე ხელმისაწვდომობის მხრივ.¹²

საგულისხმოა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის კონტექსტში მართლმასჯულების ევროპული სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსგან განსხვავებით, უფრო შორს წავიდა და მი-

¹¹ იხ.: http://www.parliament.ge/files/1359_21958_339510_rasobrividiskriminaciis_yvelaformislikvidaciisSesaxeb.pdf

¹² იხ.: https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/Display_DCTM_Content?documentId=09000016800922ad გვ. 16.

იჩნია, რომ პირდაპირი დისკრიმინაციის დასადგენად არ არის საჭირო კონკრეტული მსხვერპლის არსებობა. აღნიშნულის მაგალითთა ფერინის საქმე, სადაც ერთ-ერთი ბელგიური კომპანიის მესაკუთრებ განაცხადა, რომ იმიგრანტები ვერ დასაქმდებოდნენ მის კომპანიაში. ასეთი პოზიცია მან გამოხატა, როგორც რეკლამის მეშვეობით, ისე ზეპირად. ამ საქმეში არ არსებობდა დისკრიმინაციის კონკრეტული მსხვერპლი ანუ არ ფიგურირებდა კონკრეტული დაზარალებული, ვინაიდან თეთრკანიანებმა გადაწყვიტეს, რომ საერთოდ არ მიემართათ კომპანიისთვის ამ უკანასკნელის მიერ გაკეთებული სარეკლამო განცხადების გამო. სწორედ ამიტომ, საჩივარი სასამართლოში შეიტანა ბელგიის თანასწორობის ცენტრმა, სასამართლომ კი დაადგინა, რომ არ იყო აუცილებელი დისკრიმინაციის კონკრეტული მსხვერპლის იდენტიფიცირება. კომპანიის ამ კონკრეტული რეკლამის შინაარსი-დან გამომდინარე, სასამართლომ აშკარად მიიჩნია, რომ „არათეთ-რკანიანები“ თავისითავად შეიკავებდნენ თავს დასაქმების შესახებ განცხადებით მიემართათ კომპანიისათვის, რადგან მათ წინასწარ იცოდნენ, რომ დასაქმების არავითარი პერსპექტივა არ ექნებოდათ. შესაბამისად, უკვე შესაძლებელი იყო იმის დასაბუთება, რომ კომპანიის პოლიტიკა იმთავითვე დისკრიმინაციული იყო და ამდენად, დისკრიმინაციის აღიარებისათვის აღარ იყო საჭირო არაკეთილმოსურნე მოპყრობის კონკრეტული მსხვერპლის არსებობა.¹³

ევროსაბჭოს კომისიამ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ, ფართოდ განმარტა რასობრივი დისკრიმინაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ საფუძვლებს: რასა, კანის ფერი, ენა, რელიგია, მოქალაქეობა ან ეროვნული თუ ეთნიკური ნარმომავლობა (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142¹ მუხლი რასობრივი დისკრიმინაციის საფუძვლების ჩამონათვალში არ ითვალისწინებს ენას, რელიგიას და მოქალაქეობას, თუმცა სსკ-ს 142-ე მუხლი კრძალავს თანასწორუფლებიანობის დარღვევას, მათ შორის, ენის, მოქალაქეობის, რელიგიის ან რჩმენის გამო). გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ „რასის“ და „ეთნიკურობის“ კონცეფციათა განმარტებისას დაადგინა, რომ ენა, რელიგია, ეროვნება და კულტურა რასისა განუყოფელი ნანილებია. გადაწყვეტილებაში საქმეზე ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ,¹⁴ სასამართლომ განმარტა, რომ „ეთნიკური რობა და რასა ურთიერთდაკავშირებული და თანმევედრი ცნებებია.

¹³ CJEU, საქმე C-54/07, Centrum voor gelijkheid van kansen en voor racismebestrijding v. Firma Feryn NV, 10 ივლისი, 2008, იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2015w-n2.pdf> გვ. 92.

¹⁴ ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ (Timishev v. Russia), 155762/00 და 155974/00, 13 დეკემბერი, 2005, §55.

ცნება „რასა“ საფუძველს იღებს ქვესახეობებად ადამიანთა კლასიფიკის იდეისგან, მორფოლოგური მახასიათებლების მიხედვით, როგორიცა: კანის ფერი ან სახის ნაკვთები, „ეთნიკურობა“ კი – საზოგადოებრივი ჯგუფების იდეისგან, რომლებსაც ახასიათობთ საერთო ეროვნება, ერთი ტომისადმი კუთვნილება, საერთო რწმენა, ერთიანი ენა ან კულტურისა და ტრადიციების საერთო საწყისები და ფონი¹⁵. ამასთან, გადაწყვეტილება საქმეზე სედიჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ¹⁶, პირველი საქმე იყო, რომელიც ევროპულმა სასამართლომ განიხილა მე-12 ოქმის თანახმად. კერძოდ, განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ არ შეეძლოთ არჩევნებში მონაწილეობა. 1990-იან წლებში, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების ერთ-ერთ ნაწილად სამ მთავარ ეთნიკურ ჯგუფს შორის გაფორმდა ძალთა განანილების შეთანხმება. მასში მოიაზრებოდა ისიც, რომ ნებისმიერ პირს, ვინც არჩევნებზე საკუთარ კანდიდატურას წამოაყენებდა, უნდა განეცხადებინა ბოსნიელ, სერბ ან ხორვატ საზოგადოებასთან მისი მიკუთვნების შესახებ. ებრაელი და ბოშა წარმომადის კანდიდატებმა ამაზე უარი განაცხადეს და აღნიშნეს, რომ ეს იყო დისკრიმინაცია რასობრივ და ეთნიკურ ნიადაგზე. აღნიშნულ საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ გაიმეორა ზემოთ მოტანილ განმარტება რასასა და ეთნიკურობას შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ და დასძინა, რომ დისკრიმინაცია პირის ეთნიკური წარმომავლობის გამო, რასობრივი დისკრიმინაციის ფორმაა. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ მოხდა რასობრივი დისკრიმინაცია, კარგად ასახავს ურთიერთკავშირს ეთნიკურობასა და რელიგიას შორის. მეტიც, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ სამშვიდობო შეთანხმების დელიკატური მნიშვნელობის მიუხედავად, მაინც ვერ გამართლდებოდა ამგვარი დისკრიმინაცია.

სტრასბურგის სასამართლოს შეხედულებით, ადამიანების მიმართ განსხვავებულ მოპყრობას, რომელიც მთლიანად ან ძირითადად ეფუძნება რასობრივ, ეროვნულ კუთვნილებას ან კანის ფერს, არა აქვს არავითარი პერსპექტივა, რომ ობიექტურად გამართლებულად შეფასდეს დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც პლურალიზმისა და განსხვავებულ კულტურათა პატივისცემის პრინ-

¹⁵ ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, რასობრივი შეუწყნარებლობა და ქსენოფობია უცხოელთა უფლებრივი მდგომარეობა საქართველოში, 2019, გვ. 13.

¹⁶ სედიჩი და ფინჩი ბოსნია-ჰერცეგოვინას წინააღმდეგ (Sejdic and Finci v. Bosnia and Herzegovina), [დიდი პალატა], 127996/06 და 134836/06, 22 დეკემბერი, 2009, იხ.: <https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016800922ad> გვ. 112.

ციპებს ემყარება. მისივე განმარტებით, აღნიშნული საფუძვლით დისკრიმინაცია იმავდროულად წარმოადგენს „ლირსების დამამცირებელ მოპყრობას“ და კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად გამოიწვევს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის აღიარებასაც.¹⁷

საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტების მსგავსად, კანონის წინაშე თანასწორობის უფლების გარანტიაში საქართველოს კონსტიტუცია ასევე, ითვალისწინებს, რომ კანონის წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია, მათ შორის, განურჩევლად რასის, კანის ფერის და ეთნიკური კუთვნილებისა.¹⁸

ზემოხსენებული კონსტიტუციური უფლების დაცვის სამართლებრივი გარანტის როლში გამოდის სამართლის სხვადასხვა დარგი, მათ შორის, სისხლის სამართლიც. ადამიანთა თანასწორუფლებისანობის დაწლევა, თუ ეს არსებითად ხელყოფს ადამიანის რომელიმე უფლებას, იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.¹⁹ კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ადამიანის უფლებათა დაცვის რამდენიმე სპეციფიკურ დებულებას, მათ შორის, 2003 წელს, სსკ-ს დაემატა 142¹ მუხლი, რომელიც ითვალისწინებს რასობრივი დისკრიმინაციის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

დანაშაული – რასობრივი დისკრიმინაცია, ობიექტური მხრივ გამოიხატება ა) ისეთ ქმედებაში, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ლირსების დამცირების მიზნით; ბ) ადამიანის უფლებების პირდაპირ ან არაპირდაპირ შეზღუდვაში; გ) ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭებაში რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით. რასობრივი დისკრიმინაცია – 2014 წელს გატარებულ საკანონმდებლო ცვლილებებამდე, დამთავრებული დანაშაული იყო ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი ქმედების ჩადენისთანავე და მნიშვნელობა არ ჰქონდა, მოჰყვებოდა თუ არა ამას რაიმე მძიმე შედეგი. ამდენად, სახეზე იყო ფორმალური შემადგენლობა. თუმცა, 2014 წლის საკანონმდებლო ცვლილების²⁰ შემდეგ, იგი ნაწილობრივ მატერიალური დანაშაული გახდა. კერძოდ, რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან

¹⁷ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, გვ. 67, იხ.: http://www.library.court.ge/upload/Constitution_Commentary_Human_Rights.pdf

¹⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლი.

¹⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142-ე მუხლი.

²⁰ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339385?publication=0#DOCUMENT:1>

არაპირდაპირი შეზღუდვა ან იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება დასჯად ქმედებად ითვლება მაშინ, თუ მან არსებითად ხელყო პირის უფლებად. აյ იგულისხმება პირის კონსტიტუციით გარანტირებული უფლების არა უმნიშვნელო, არამედ არსებითი ხელყოფა. ხოლო აღნიშნული მუხლის ობიექტური მხარის სხვა ნიშანი, რაც გამოიხატება ქმედებაში, რომელიც ჩადენილია ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთებილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, იგი კვლავ რჩება ფორმალურ შემადგენლობად.²¹ 2014 წლის ცვლილებების მიზეზი იყო „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღება, რომელიც საჭიროებდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებს. კერძოდ, კანონპროექტის მიღების მიზეზი იყო სსკ-ის 142–142² მუხლებში არსებული ხარვეზების გასწორება და მათი საერთაშორისო სტანდარტებთან და საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა. განსახილველი თემის ფარგლებში შევეხებით სსკ-ის ორ წორმას. კერძოდ, სსკ-ის 142-ე მუხლს დაემატა „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ისეთი ნიშნები, როგორიცაა: ასაკი, მოქალაქეობა, დაბადების ადგილი, ოჯახური და ჯამშირთელობის მდგომარეობა, პროფესია, სექსუალური ორიენტაცია, გენდერული იდენტობა და გამოხატვა. ამასთან, ისეთი ნიშნები, როგორიცაა: რასა, კანის ფერი, ეროვნება და ეთნიკური წარმომავლობა ამოღებულ იქნა სსკ-ის 142-ე მუხლიდან, რათა არ მომხდარიყო 142¹ მუხლის აკრძალვის დუბლირება. გარდა ამისა, როგორც უკვე ზევით აღვნიშნეთ, სსკ-ის 142¹ მუხლს დაემატა შედეგი – ადამიანის უფლების არსებითი ხელყოფა. აღნიშნული ცვლილებების შედეგად 142¹ მუხლი შესაბამისობაში მოვიდა „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ გაეროს კონვენციასთან. გარდა ამისა, სსკ-ის 142-ე და 142¹ მუხლებს დაემატა შენიშვნა, რომელიც ითვალისწინებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას.²² ამასთან, 2014 წელს განხორციელებული ცვლილებები შეიძლება მივიწნიოთ რასიზმისა და შეუწყნარებლობის ნინააღმდეგ ევროპული კომისიის (შემდეგ ECRI) მიერ გაცემული რეკომენდაციების²³ საკანონმდებლო დო-

²¹ ლეკვეიშვილი მ., მამულაშვილი გ., თოდუა ნ., სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი 1 (მეშვიდე გამოცემა), 2019, გვ. 275.

²² იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339385?publication=0#DOCUMENT:1>

²³ რასიზმისა და შეუწყნარებლობის ნინააღმდეგ ევროპული კომისიის ზოგადი პოლიტიკის №7 რეკომენდაციების მე-18 (დ), (ვ) და (ზ) მუხლები.

ნეზე ასახვად. თუმცა, კანონმდებელმა არ განსაზღვრა მკაფიოდ ისეთი დებულებები, რომლებიც აკრძალავდა ისეთ დანაშაულებს, როგორიცაა რასობრივი შეურაცხყოფა, რასისტული განცხადებების შემცველი მასალების საჯარო გახმაურება ან გავრცელება, რასიზმის ხელშემწყობი ჯგუფის შექმნა ან ხელმძღვანელობა.²⁴

ფაქტია, კანონმდებლის მიზანი იყო ამ ნორმის შემოღებით უზრუნველყო ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც ადგილი არ ექნებოდა რასობრივ დისკრიმინაციას, თუმცა ბოლო წლებში საქართველოში გამოვლინდა რასობრივი ნიშნით შეუწყნარებლობის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა. ქვევით მიმოვისილავთ რასობრივი ნიშნით ძალადობისა და დისკრიმინაციის კონკრეტულ რამდენიმე შემთხვევას:

2015 წლის 19 სექტემბერს, თბილისში, რუსთაველის გამზირზე, ნიგერიის მოქალაქეებს ქართველმა ახალგაზრდებმა მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

2018 წლის 31 იანვარს, აღნიშნულ ფაქტზე დაკავებული ორი პირის მიმართ დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.²⁵ კერძოდ, სასამართლომ დადგენილად მიიჩნა, რომ ორივე ბრალდებულმა ჩაიდინა რასობრივი დისკრიმინაცია.²⁶

განსახილვებ საქმეში სასამართლომ განმარტა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის შემცველ საქმეებზე მნიშვნელოვანია დამტკიცდეს, რომ ბრალდებულები მოტივირებული იყვნენ რასობრივი შუღლით, აღნიშნული მიდგომა კი ნიშნავს დამტკიცდეს, რომ პირებს არ ამოძრავებდათ სუბიექტური – პირადი მიდგომა. მოცემულ შემთხვევაში დადგენილ იქნა, რომ ბრალდებუ-

²⁴ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიის საქართველოს შესახებ ანგარიში, მონიტორინგის მეხუთე ციკლი, გამოქვეყნდა 2016 წლის 1 მარტს, გვ. 13.

²⁵ თბილისის სქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 იანვრის განაჩენი საქმეზე №1/1354-16.

²⁶ სსკ-ის 142¹ მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი: რასობრივი დისკრიმინაცია, ე. ი. ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ.

ლები არ იცნობდნენ დაზარალებულებს, ისინი აყვნენ მათთან ერთად მყოფ ი. ბ-ს მოწოდებას, რომელსაც გააჩნდა ფერადკანიანების მიმართ ანტიპათია და სწორედ ამ მიზეზის გამოსატეს ნიგერიელების მიმართ აგრესია.

ამასთან, თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ რასობრივი დისკრიმინაციის შემადგენლობის არსებობისათვის საკმარისი არ არის ქმედება, ჩადენილი ეროვნული ან რასობრივი მტრობის ან განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ლირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთხილების ნიშნით ადამიანის უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ანდა იმავე ნიშნით ადამიანისათვის უპირატესობის მინიჭება – ქმედებამ არსებითად უნდა ხელყოს პოტენციური დაზარალებულის უფლება, რაც შეფასებითი ცნებაა და გასათვალისწინებელია ქმედების ჩადენის ადგილი, ვითარება, მისი ინტენსივობა და ხანგრძლივობა. სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ მსგავსი ტიპის საქმეებში დამნაშავე პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ერთი შეხედვით არ იძლეოდეს დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას და ქმედების მონაცილე მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არ აფსებდეს, როგორც სწორედ დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას, თუმცა აღნიშნულ შეფასებაში დიდი წილი სწორედ დაზარალებულის პერცეფციაზე მოდის, რადგან ადამიანის დამცირებისას, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, რაც თავის მხრივ, დაზარალებულის ფსიქიკიდან გამომდინარე, სხვაგვარად ხელყოფს მის უფლებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დაზარალებულების უფლებების არსებით ხელყოფას ნამდვილად ჰქონდა ადგილი. კერძოდ, დაზარალებულებისა და ფაქტის შემსწრე მოწმეების ჩვენებებით, ბრალდებულები ნიგერიის მოქალაქეებს ეუბნებოდნენ რასისტულ სიტყვებს, კერძოდ თავდამსხმელები აქტიურად იყენებდნენ სიტყვებს: „ზანგს“ და „მაიმუნს“, „მათ ინგლისურ და ქართულ ენაზე აგინებდნენ და აყენებდნენ ფიზიკურ შეურაცხყოფას. გარდა ამისა, თავდასხმელები აჩვენებდნენ ნაცისტურ ნიშანს – ხელს წევდნენ მაღლა. აღნიშნულით დაზარალებულები მიხვდნენ, რომ ბრალდებულების აგრესია და შეურაცხყოფა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ ისინი იყვნენ შავკანიანები, რის გამოც მათ თავი იგრძნეს დისკრიმინაციულად, კანის ფერისა და

რასის გამო.²⁷

2018 წლის 29 ნოემბერს, ქ. რუსთავის ერთ-ერთ მიკროავტო-ბუსში, რასობრივი შეუნცნარებლობის მოტივით, კანის ფერის გამო, საქართველოს მოქალაქემ ფიზიკური და სიტყვიერი შეუ-რაცხოფა მიაყენა კამერუნის მოქალაქეს. კერძოდ, ბ.ძ. რომე-ლიც არ იყო კეთილგანნწყობილი ფერადკანიანების მიმართ, და-ზარალებულს მოიხსენიებდა „ზანგად“, უყვიროდა, რომ წასუ-ლიყო თავის ქვეყანაში და აღარ დაბრუნებულიყო საქართვე-ლოში, რადგან როგორც შავკანიანს არ ჰქონდა უფლება ყოფი-ლიყო საქართველოში და ასევე, იგინებოდა მისი და ზოგადად, ფერადკანიანების მისამართით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის არსებითი გან-ხილვის დროს, სხდომაზე ბრალდებულმა აღიარა ჩადენილი და-ნაშაული და სადავოდ არ გახადა ბრალდების მხარის მტკიცე-ბულებები, რითაც ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. აღნიშნულის გათვალისწინებით და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ ბრალდებულმა ბოდიში მოუხადა დაზარალებულს, რომელსაც არ ჰქონდა მის მიმართ პრეტენ-

²⁷ პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულებს სასჯელის ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, თუმცა, აღნიშნუ-ლი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულების ინტე-რესების დამცველმა ადვოკატებმა. სააპელაციო საჩივრის თავდაპირვე-ლი მოთხოვნა იყო გამამტკუნებელი განაჩენის გაუქმება და გამამართლე-ბელი განაჩენის გამოტანა. თუმცა, სააპელაციო პალატის სხდომაზე სა-ხელმწიფო ბრალდებულმა ზემდგომი პროცესურორის თანხმობით, წარად-გინა წერილობითი შუამდგომლობა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისა და მსჯავრდებულებთან საპ-როცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე. შუამდგომლობის თანახ-მად, მსჯავრდებულებმა ნებაყოფლობით მიმართეს პროცესურატურას გან-ცხადებით და სურკილი გამომოწევეს, მათთა გაფორმებულიყო საპროცე-სო შეთანხმება. სახელმწიფო ბრალდებამ ითხოვა მსჯავრდებულებთან მიღწეული საპროცესო შეთანხმების დამტკიცებას. თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაკამაყოფილა პროცესურორის შუამდგომლობა და მსჯავ-რდებულებს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრათ თავისუფლების აღკვეთა 4 წლის ვადით, საიდანაც სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის სა-ფუძველზე სასჯელის ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით განესაზღვრათ პენიტენციურ დანესაბულებაში მოხდით, ხოლო დარჩენი-ლი ნაწილი – 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩატვალათ პირობით, იმავე გამოსაცდელი ვადით (2018 წლის 20 აპრილის განაჩენი საქმეზე №18/262-18).

ზია და ითხოვდა არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას – სა-სამართლომ რასობრივ დისკრიმინაციში ბრალდებული პირი დამნაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად განუსზაღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და დაუდგინდა გამოსაცდელი ვადა.

გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეში, სასამართლომ სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე²⁸ მსჯავრდებულს, მისი აგრესიული და-მოკიდებულების გამო ფერადეკანიანების მიმართ, დააკისრა განსაზღვრული მოვალეობის შესრულება, კერძოდ, ბ.ძ-ს დაე-ვალა დისკრიმინაციული ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა, რათა უკეთ გააცნო-ბიეროს ჩადენილი ქმედების ხასიათი და შედეგები.²⁹

ბოლო რამდენიმე წელია საქართველოში მომრავლდა და გააქტი-ურდა ნეონაცისტური ჯგუფები, რომლებიც გამოირჩევიან აგრე-სიულობით, სიძულვილის ენის შემცველი გამოსვლებით, ძალადობ-რივი მოწოდებებითა და ცალკეულ შემთხვევებში უცხოელებზე თავდასხმებით. სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულები სა-ქართველოს სახელმწიფოსთვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება. სიძულვილის ენა საშიშა არა მარტო ადამიანის უფლებები-სა და თავისუფლებების დარღვევის კუთხით, არამედ იგი ამკიდ-რებს გაუცხოებას, საზოგადოებრივი, პოლიტიკური თუ ეკონომი-კური ცხოვრებიდან ამა თუ იმ ჯგუფის დისტანცირების პრაქტი-კას და საფრთხეს უქმნის ქვეყანაში მშვიდობასა და საზოგადოებ-რივ სიმშვიდეს. იგი მიმართულია ერთი მხრივ, ცალკეული პირისა თუ ჯგუფის წინააღმდეგ, აყენებს რა, მათ ფსიქოლოგიურ და მო-რალური ზიანს, ხოლო მეორე მხრივ, მთლიანად სახელმწიფოს, მი-

²⁸ პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, სასამარ-თლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს განსაზღვრული მოვალეო-ბის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა მასთან, ვინც შეიძლება იგი ჩაბასა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი, მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალ-კოპლობიზმის, ნარკომანის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურ-ნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამ-დენი პირია – ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეც-ვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია დააკისროს მსჯავრდებულს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას.

²⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 31 იანვრის განაჩენი, საქ-მეზე №1-884-18.

სი სოციალური და ზნეობრივი სტრუქტურის წინააღმდეგ.³⁰

2016 წლის 27 სექტემბერს, ქ. თბილისში, მეტრო „რუსთაველის“ მიმდებარე ტერიტორიაზე შეიკრიბა ორგანიზაცია „ქართული ძალის“ დაახლოებით, 150 წევრი, რომელთა შორის იყვნენ ასე-ვე, აღნიშნული ორგანიზაციის ე. წ. ლიდერები. ბრალდების შესახებ დაფენილების თანახმად: შეკრებილთაგან რამდენიმე პიროვნებას შენიდბევის მიზნით, სახეზე აფარებული ჰქონდა შავი ფერის ე. წ. ბენდენები, ხოლო ზოგიერთ მათგანს სახე სრულად ჰქონდა დაფარული შავი ფერის ნიღბებით. აღნიშნული ორგანიზაციის წევრებს ასევე, თან ჰქონდათ ე. წ. მაშალები. ისინი აგრესიული და ძალადობრივი შინაარსის სხვადასხვა შეძახილებით ფეხით გაემართნენ გმირთა მოედნის მიმართულებით.

გმირთა მოედანზე ყოფნისას, შეკრებილთა ერთ-ერთმა ე. წ. ლიდერმა, რომელსაც სახე სრულად ჰქონდა დაფარული შავი ფერის ნიღბით და კარგად იცოდა, რომ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე მრავლად იყო სხვადასხვა ეროვნების ნარმობადგენლების კუთვნილი ობიექტები მათ შორის, ბარ-რესტორნები და კვების სხვა დაწესებულებები – რასობრივი დისკრიმინაციის, კერძოდ, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით, ადამიანების უფლების პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვის მიზნით, იქ მყოფ ადამიანებს მოუწოდა შემდეგი სიტყვებით – „ნავიდეთ და აღმაშენებელი დავანგრიოთ“, რასაც ხსენებული პირები ოვაციებით შეხვდნენ და შეძახილებით დაეთანხმნენ.

აღმაშენებლის გამზირზე, ორგანიზაცია „ქართული ძალის“ ე. წ. ლიდერებმა და წევრებმა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მომარჯვებული ხელკეტებით, სხვადასხვა საგნებითა და ე. წ. მაშალებით დაიწყეს ორგანიზებული, მასობრივი მსვლელობა მეტრო „მარჯანიშვილის“ მიმართულებით, რა დროსაც თურქი, არაპი და სხვა ეროვნების მოქალაქის მიმართ, ხმამაღალი, შეურაცხმყოფელი, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების გამომხატველი სიტყვებით, ლანძღვა-გინებით, ძალადობის გამოყენებითა და ძალადობის გამოყენების მუქარით, თავს დაესხნენ აღნიშნულ ქუჩაზე მდებარე უცხო ქვეყნის მოქალაქეების კუთვნილ კვების ობიექტებსა და სხვა დაწესებულებებს. კერძოდ, ხელკეტებს, მომარჯვებულ სხვა საგნებს, ხელებსა და ფეხებს ურტყამდნენ უცხო ეროვნების მოქალაქეთა კუთ-

³⁰ იხ.: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf გვ.7.

ვნილი რესტორნების მინებს, აზიანებდნენ ქუჩაში მდებარე უცხოური წარწერის მქონე სარეკლამო ბანერებს. გარდა ამისა, მსვლელობის მონაწილეებმა უცხო ეროვნების მოქალაქეთა კუთვნილი რესტორნების შენობებში, სადაც მომსახურე პერსონალთან ერთად იმყოფებოდნენ კლიენტები, შეაგდეს ცეცხლმოკიდებული ქ. ნ. მაშხალები, რითაც საფრთხე შეუქმნეს იქ მყოფთა ჯანმრთელობას.

მიუხედავად იმისა, რომ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა არაერთხელ მოუწოდეს მსვლელობის მონაწილეებს დაეცვათ საზოგადოებრივი წესრიგი, შეეწყვიტათ უკანონო ქმედებები, ისინი მაინც განაგრძობდნენ ძალადობის გამოყენებასა და ძალადობის მუქარას, უნმანური სიტყვებით ლაზდვა-გინებას უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიმართ. აღნიშნული ქმედებით დაირღვა აღმაშენებლის გამზირზე მდებარე რესტორნებისა და დაწესებულებების მუშაობის ჩვეული რიტმი, ასევე შეფერხდა სატრანსპორტო საშუალებების საავტომობილო გზაზე გადაადგილება.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, მსვლელობის მონაწილეებმა ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით მოახდინეს აღმაშენებლის გამზირზე მყოფი უცხო ეროვნების მოქალაქეების ეროვნული პატივისა და ლირსების დამცირება, აგრეთვე ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანების უფლების პირდაპირი და არაპირდაპირი შეზღუდვა, რამაც არსებითად ხელყო მათი უფლებები. ასევე, წინასწარ შეთანხმებული მოქმედებით, ძალადობითა და ძალადობის მუქარით, იარაღად სხვა საგნების გამოყენებით, უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და აშკარა უპატივცემულობა გამოხატეს საზოგადოებისადმი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მიერ განხილულ იქნა³¹ აღნიშნული საქმე 5 ბრალდებულის მონაწილეობით.³² მათ ბრალი რასობრივი დის-

³¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 აპრილის განაჩენი საქმეზე №1/1258-17.

³² თავდაპირველად, აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, საქართველოს პროკურატურამ ბრალდებულის სახით პასუხისმგებლობში მისცა 12 (თორმეტი) პირი, მათ შორის, 7 (შვიდი) არასარულწლოვანი. 2016 წლის 20 დეკემბრს, სისხლის სამართლის საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს, საიდანაც არასარულწლოვნების საქმე ცალკე წარმოებად გამოიყო.

კრიმინაციისა და ხულიგნობისთვის წარედგინათ.³³

საქმის განმხილველმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ადამიანის უფლება – იყოს დაცული დისკრიმინაციის ყველა ფორმისაგან, განმტკიცებულია არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში. მათ შორის, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-2 და 26-ე მუხლები კრძალავს დისკრიმინაციას. დამატებით, დისკრიმინაციის აკრძალვის შესახებ ჩანაწერი მოცემულია „ეროვნულ და ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობებისადმი მიკუთხნებულ პირთა შესახებ“ გაეროს 1992 წლის დეკლარაციაში. აღნიშნული დოკუმენტი კონკრეტულად ფოკუსირდება უმცირესობათა უფლებებზე და კრძალავს უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას. ამასთან, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლის მიხედვით, კონვენციით გაცხადებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-12 ოქმის 1-ლი მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, კანონით დადგენილი ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნულმა მუხლმა გააფართოვა დისკრიმინაციის აკრძალვის არეალი. კერძოდ, ის აღარ არის შემოფარგლული მხოლოდ კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით უზრუნველყოფილი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით და ასევე ვრცელდება ადამიანის ყველა იმ უფლებებსა და თავისუფლებებზე, რომლებიც კონვენციის ხელმომწერი ქვეყნების კანონმდებლობითაა დადგენილი.

ამავდროულად, პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნა,

³³ კვალიფიკაცია: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 142¹ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი (რასობრივი დისკრიმინაცია ე.ი. ქმედება ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქართ, ეროვნული პატივისა და ლირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით ადამიანის უფლების პირდაპირ და არაპირდაპირ შეზღუდვა, რამაც არსებითად ხელყო მისი უფლება) და სსკ-ის 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილით (ხულიგნობა ე. ი. ქმედება, რომელიც უხეშად აღლვევს საზოგადოებრივ ნესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით და ძალადობის მუქარით, ნინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ჩადენილი იარაღად სხვა საგნის გამოყენებით).

რომ საქართველოს კონსტიტუციით და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, ყველა კატეგორიის საქმეზე დადგენილია ერთი სტანდარტი – ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელი (უტყუარი) მტკიცებულებების ერთობლიობა, რომლიდანაც გამონაკლისი არ არის დასასვები. საკითხის იმგვარად შეფასება და გადაწყვეტა, რომ დისკრიმინაციის ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის საქმეებზე, მისი განსაკუთრებული სპეციფიკიდან გამომდინარე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად დადგინდეს უფრო დაბალი მტკიცებულებითი სტანდარტი, ვიდრე ამას საქართველოს კონსტიტუცია და საპროცესო კოდექსი მოითხოვს, არსობრივად მცდარია.

მოცემულ საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ დაირღვა თუ არა 2016 წლის 27 სექტემბერს თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე საზოგადოებრივი წესრიგი ან ჰქონდა თუ არა ადგილი რასობრივი დისკრიმინაციის ფაქტებს, არამედ მხარეებს შორის დავის საგანს წარმოადგენდა ჩაიდინეს თუ არა კონკრეტულმა ბრალდებულებმა ხულიგნობა და რასობრივი დისკრიმინაცია. ამ უკანასკნელთან დაკავშირებით კი, სასამართლომ აღნიშნა, რომ „ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში წარმოდგენილ იქნა არაერთი ფოტო და ვიდეო ჩანაწერი, რომელიც ასახავდა 2016 წლის 27 სექტემბერს შემთხვევის ადგილზე მიმდინარე მოვლენებს, მაგრამ საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის დასკვნით, ექსპერტიზაზე წარდგენილ დისკებები და ქენონის ფირმის ფოტოაპარატში არსებულ ფოტო-ვიდეო გამოსახულებებში ბრალდებულთა იდენტიფიკაციისთვის ვარგისი იერსახის გამოსახულებები აღმოჩენილი ვერ იქნა“. ამასთან, არც ერთი უტყუარი მტკიცებულება, რითაც ირიბად მაინც იქნებოდა მითითება კონკრეტული 4 (ოთხი) ბრალდებულის შესაძლო დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლის სამართლებრივ შეფასებაზე სასამართლო ცალკე იმსჯელებდა, სასამართლოში წარდგენილი არ ყოფილა. ხოლო ერთი ბრალდებულის მიმართ სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელმა, რომელმაც იგი უშუალოდ დააკავა, აღნიშნავდა, რომ ბრალდებული მისი ხელმძღვანელის მითითებით დააკავა, მაშინ, როდესაც საპატრულო პოლიციის ვაკე-საბურთალოს მიმართულების მესამე ასეულის მეთაურმა მართალია გაიხსენა, რომ მისი მითითებით მოხდა აქციის ორი-სამი მონაწილის დაკავება, რომლებიც იყვნენ გამორჩეულად აგრესიულები, თუმცა ვერ აღიდგი-

ნა კონკრეტულად ვის მისცა ასეთი მითითება და ვის მიმართ გატარდა მისი მითითებით შემდგომი იძულების ღონისძიებები. ამდენად, სასამართლოსთვის ძნელად წარმოსადგენი იქნა ამ ორი არამყარი, არათანმიმდევრული და შესაბამისად გამამტყუნებელი განაჩენის სტანდარტით არასანდო ჩვენებებით, პირის მსჯავრდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ერთი მხრივ, არასაკამარისი იყო, ხოლო მეორე მხრივ, არასანდო და არადამაჯერებელი და მათ საფუძველზე შეუძლებელი იყო ფაქტების უტყუარად დადგენა და მით უფრო გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა (სასამართლოს გადაწყვეტილებით ბრალდებულები წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ).

აღნიშნული საქმე განიხილა სააპელაციო სასამართლომ³⁴, რომელმაც სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა. ამასთან, ვინაიდან აპელანტი (პროკურორი) მიუთითებდა ერთ-ერთი ბრალდებულის მიმართებით, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოლებულ ერთ-ერთ ვიდეოჩანანერში მოხდა აღნიშნული ბრალდებულის იდენტიფიკაცია, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში გამოკვლეულ იქნა ვიდეოჩანანერი, სადაც მართლაც ჩანდა ბრალდებულის გამოსახულება, თუმცა ამ ვიდეოჩანანერით დასტურდებოდა მხოლოდ მისი ყოფნა შემთხვევის ადგილზე და არა მის მიერ რაიმე კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენა. მეტიც, ერთ-ერთმა მოწმემ დადასტურა, რომ ბრალდებული მან მხოლოდ მარჯვნიშვილის მოედანზე შენიშნა. მსვლელობა მიემართებოდა ერთი მიმართულებით, ხოლო ბრალდებული მოძრაობდა მის საპირისპირ მხარეს, ეცვა სამოქალაქო ტანისამოსი და მხოლოდ პატარა ბიჭს გამოესარჩლა, რომელიც დოლზე უკრავდა, რაც ასევე აჩენს გონივრულ ეჭვს ბრალდებულის მსვლელობაში საერთოდ მონაწილეობასთან დაკავშირებით და ცალსახად ვერ ადასტურებს მის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენას. გარდა ამისა, ბრალდების მხარე აპელირებდა ერთ-ერთი პოლიციელის ჩვენებაზე, რომლის განმარტებითაც, ერთ-ერთი ბრალდებული სკანდირებდა უნმანური სიტყვებით, რაზეც სასამართლომ აღნიშნა, რომ ბუნდოვანი იყო, თუ რა ქმედებას ახორციელებდა ბრალდებული შემთხვევის ადგილზე და რაში გამოიხატებოდა მის მიერ დანაშაულის შესაძლო ჩადენა. მისი უნმანური სიტყვები იყო შეურაცხმყოფელი, ჰყავდა კონკრე-

ტული ადრესატი და გამოხატავდა თუ არა საზოგადოებისადმი უპატივცემულობას?

დაბოლოს, სააპელაციო პალატამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ იმ სისხლის სამართლის საქმეებში, სადაც შესაძლოა იკვეთებოდეს დისკრიმინაციული მოტივები და სიძულვილის ენის ტირა-ჟირება, სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა, გამოძიება არ იყოს ზერელე, არასაკამარისი, არ შემოიფარგლებოდეს მტკი-ცებულებების მოჩვენებითი სიმრავლით და არსებობდეს რეა-ლური ინტერესი ეფექტიანი გამოძიებისა და ნამდვილი დამნა-შავების სათანადო დასჯისა.

სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებზე აპელირებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო საქმეზე ნაჩივა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ.³⁴ კერძოდ, სასამართლო აღნიშ-ნავს, რომ ხელისუფლებამ უნდა განახორციელოს კეთილგონივ-რული ქმედებები მტკიცებულებების შეგროვებისა და დაცვის მიზ-ნით, გამოიყენოს ყველა პრაქტიკული საშუალება სიმართლის და-სადგენად, გამოიტანოს სრულიად დასაბუთებული, მიუკერძოებე-ლი და ობიექტური გადაწყვეტილებები და არ დატოვოს განუხილ-ველად საეჭვო ფაქტები, რომლებიც შეიძლება ადასტურებდეს ძა-ლადობის რასობრივ მოტივს. ამასთან, სასამართლოს განმარტე-ბით, როდესაც არსებობს ეჭვი, რომ რასობრივმა მოსაზრებებმა გამოიწვია ძალადობა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ოფიციალური გამოძიება ჩატარდეს კანონიერად და მიუკერძოებ-ლად. ასევე, საზოგადოებაში მუდმივად უნდა დაიგმოს რასობრივი და ეთნიკური მტკობა და შენაჩიუნდეს უმცირესობების ნდობა, რომ ხელისუფლებას აქვს უნარი, დაიცვას ისინი რასობრივი ძალა-დობისაგან. გარდა ამისა, აღნიშნული საქმის შესახებ დიდი პალა-ტის გადაწყვეტილებაში კვითხულობთ, რომ როდესაც გამოძიება ეხება სახელმწიფო მოხელეების მიერ ჩადენილ ძალადობას ან სი-ცოცხლის მოსპობას, სახელმწიფო ხელისუფლებას აკისრია დამა-ტებითი ვალდებულება გამოაშვარაოს ნებისმიერი რასობრივი მო-ტივი და დაადგინოს, ხომ არ შეასრულა რასობრივმა ან ეთნიკურმა სიძულვილმა რაიმე როლი მოვლენების განვითარებაში. რასობრი-ვი მოტივაციით გამოწვეული ძალადობისა და სისასტიკის ისევე განხილვა, როგორც საქმეებისა, რომელთაც არ დაპკრავთ რასობ-

³⁴ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 30 ივლისის განაჩენი, საქმეზე №18/961-19.

³⁵ ნაჩივა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (nachova and others v. Bulgaria), [დიდი პალატა], №43577/98 და №43579/98, 6 ივლისი, 2005, §160.

რივი ელფერი, ჰგავს თავის დაპრმავებას იმ ფაქტებთან მიმართებაში, რომლებიც განსაკუთრებით ლახავს ძირითად უფლებებს.³⁶

საქართველოში სიძულვილის ენის გამოვლენა კვლავ პრობლემად რჩება. სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა არ არის დადგენილი სიძულვილის ენის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ქმნის მყისიერი, შეუქცევადი და აშკარა ძალადობის მუქარას.³⁷ კერძოდ, 2015 წელს სსკ-ს დაქმატა 239¹ მუხლი, რომლითაც დასჯადი გახდა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება – „რასამორივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად ძალადობრივი ქმედებისაკენ ზეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება, თუ ეს ქმნის ძლადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.³⁸ ნორმის დისპოზიციიდან ჩანს, რომ დანაშაული დამთავრებულია არა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯარო მოწოდების მომენტიდან, არამედ მაშინ, თუ ამ მოწოდებამ გამოიწვია კონკრეტული საფრთხე. კერძოდ, შექმნა ძალადობრივი ქმედების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. შესაბამისად, სიძულვილის ენაზე *per se* გამოძიება არ ტარდება.

საკითხს ართულებს ისიც, რომ არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული სიძულვილის ენის დეფინიცია. თუმცა, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 1997 წელს მიღებული რეკომენდაციით სიძულვილის ენა შემდეგნაირად განიმარტება: სიძულვილის ენა მოიაზრებს გამოხატვის ყველა ფორმას, რომელიც ავრცელებს, აქეზებს, ხელს უწყობს ან ამართლებს რასობრივ შუღლს, ქსენოფობიას, ანტისემიტიზმს ან შეუწყარებლობაზე დაფუძნებულ შუღლის სხვა ფორმებს, ნაციონალიზმის, ეთნოცენტრიზმის, დისკრიმინაციისა და უმცირებობათა ან მიგრანტთა მიმართ გამოხატული მტრობის ჩათვლით.³⁹

³⁶ იხ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:\[%22nachova%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng%22fulltext%22:[%22nachova%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) (ხელმისაწვდომია ქართული თარგმანი)

³⁷ მესხორაძე ლ., საბაზისო კვლევა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმართული ქმედებებისთვის, 2018, გვ. 23.

³⁸ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=213>

³⁹ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია R (97)20 წევრი სახელმწიფოებისათვის „სიძულვილის ენის“ საკითხებზე,

იხ.: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf გვ. 20.

გაეროს კონვენციის – „რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, მე-4 მუხლი ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, რომ რასობრივი დისკრიმინაციისა და სიძულვილის ყველანაირი წაქეზება ან ხელშეწყობა დასჯილი იყოს.⁴⁰ კერძოდ: „მონაწილე სახელმწიფოები გმობენ ყოველგვარ პროპაგანდას, აგრეთვე, ერთი რასის ან განსაზღვრული ფერის, კანის ან ეთნიური წარმოშობის ძერნე ჯგუფის უპირატესობის იდეებზე დაფუძნებულ ორგანიზაციებს, რომლებიც ცდილობენ გაამართლონ ან წაახალისონ ნებისმიერ ფორმაში გამოხატული რასობრივი ზიზღი და დისკრიმინაცია, ვალდებულებას იღებენ დაუყოვნებლივ განახორციელონ ჯეროვანი ღონისძიებანი ასეთი წაქეზების და დისკრიმინაციის აქტების ამოსაძირკვად, ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში აღნიშნული პრინციპებისა და წინამდებარე კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული წესების მიხედვით, მათ შორის: а) კანონით დასჯად ქმედებად აცხადებენ ისეთი იდეების გავრცელებას, რომლებიც ემყარება რასობრივ უპირატესობასა და ზიზღს, რასობრივი დისკრიმინაციის ყოველგვარ წაქეზებას და ასევე, ძალადობის აქტებს ან წაქეზებას ისეთი აქტებისაკენ, რომლებიც მიმართული ნებისმიერი რასისა ან კანის ფერის ან ეთნიური წარმოშობის ძერნე ჯგუფის წინააღმდეგ და ასევე, ყოველგვარი დახმარების, მათ შორის, ფინანსური დახმარების აღმოჩენას რასისტული ქმედებების მიზნით; ბ) აცხადებენ კანონსაწინააღმდეგოდ და კრძალავენ ორგანიზაციებს ასევე, ორგანიზებულ და ყოველგვარ სხვა პროპაგანდისტულ საქმიანობას, რომლებიც წაახალისებენ რასობრივ დისკრიმინაციას და უბიძგებენ მისკენ, აღიარებენ დანაშაულად ასეთ ორგანიზაციებსა და ასეთ საქმიანობაში მონაწილეობას; გ) ნებას არ აძლევენ ნაციონალურ და სახელმწიფო მმართველობის

⁴⁰ ამასთან, კონვენციის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობისათვის შექმნილია რასობრივი დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტი. 1985 წელს, კომიტეტმა მიიღო ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია R7, რომლითაც რეკომენდაციას უწევს წევრ სახელმწიფოებს, რომელთა კანონმდებლობა არ შესაბამება კონვენციის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებს, მიიღოს შესაბამისი ზომები მუხლის მოთხოვნათა შესასრულებლად. გარდა ამისა, კომიტეტი თხოვს წევრ სახელმწიფოებს პერიოდულ ანგარიშებში წარმოადგინონ უფრო სრული ინფორმაცია რა სახით და რა მასტებით ხორციელდება პრაქტიკულად, მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტების მითხოვნები. ასევე, კომიტეტი ითხოვს წარმოდგენილი იქნას ინფორმაცია ამ დანაშაულებზე ეროვნული სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ (სახელმწიფოების ვალდებულებებზე გააძლიერონ საქმიანობა ამ მიმართულებით, საუბარია კომიტეტის 1993 წლის ზოგადი ხასიათის რეკომენდაცია R15-შიც), იხ.: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf გვ. 11.

ორგანიზაციებს და სახელმწიფო დაწესებულებებს წაახალისონ ან წააქეზონ რასობრივი დისკრიმინაცია⁴¹. ამასთან, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის⁴² მე-20 მუხლი მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა საკუთარი იურისდიქტის ფარგლებში აკრძალონ „ყოველგვარი ეროვნული, რასობრივი ან რელიგიური შუღლის გაღვივებისაკენ მიმართული გამოსვლა, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობის ან ძალადობის წაქეზებას“⁴³.

სიძულვილის ენა განსხვავებულადაა რეგულირებული სხვადასხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კოდექსით. მაგალითად, **ეპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად**,⁴⁴ პირი, რომელიც პროვოცირებას უწევს დისკრიმინაციას, სიძულვილს ან ძალადობას ჯგუფის ან ასოციაციის წინააღმდეგ რასობრივი, ანტისემიტური მოტივით ან სხვა რაიმე იდეოლოგიასთან, რელიგიასთან ან რწმენასთან, ოჯახურ მდგომარეობასთან, ეთნიკურ კუთვნილებასთან, რასასთან, ეროვნებასთან, სქესთან, სექსუალურ ორიენტაციასთან, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ან შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, ისჯება თავისუფლების აღკვეთით ერთიდან სამ წლამდე ან ჯარიმით. **დანიის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით**,⁴⁵ ნებისმიერი ადამიანი, რომელიც საჯაროდ ან უფრო ფართო გავრცელების მიზნით აკეთებს განცხადებას ან ავრცელებს ინფორმაციას, რომელიც ემუქრება, შეურაცხყოფს ან საფრთხეს უქმნის პირთა ჯგუფს მათი რასის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური კუთვნილების, რელიგიის ან სექსუალური ორიენტაციის საფუძვლით, ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე. ამასთან, თუ ქმედება ატარებს პროპაგანდისტულ ხასიათს, მაშინ ეს უნდა ჩაითვალოს დანაშაულის დამამდიმებელ გარემოებად. **ლიეტუვის სისხლის სამართლის კოდექსის 170-ე მუხლის მიხედვით:** 1) პირი, რომელიც გავრცელების მიზნით ამზადებს, ყიდულობს, აგზავნის, ტრასპორტირებას უწევს ან ინახავს მასალებს, რომლებიც გამოხატავენ

⁴¹ იხ.: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf

⁴² საქართველოში ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

⁴³ იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0>

⁴⁴ იხ.: https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf მუხლი 510.

⁴⁵ იხ.: https://www.legislationline.org/download/id/6372/file/Denmark_Criminal_Code_am2005_en.pdf https://www.legislationline.org/download/id/6372/file/Denmark_Criminal_Code_am2005_en.pdf §266 (ბ).

ზიზღს, მოუწოდებენ სიძულვილისკენ, დაცინის ან აქეზებს დისკრიმინაციას პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ, რომლებიც ეფუძნება ასაკს, სქესს, სექსუალურ ორიენტაციას, შეზღუდულ შესაძლებლობას, რასას, ეროვნებას, ენას, წარმომავლობას, სოციალურ სტატუსს, რელიგიას, მრნამსს ან შეხედულებებს; პირის ან პირთა ამგვარი ჯგუფის მიმართ აქეზებს ძალადობას და უხეშ ფიზიკურ მოპყრობას, დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ერთ წლამდე ვადით; 2) პირი, რომელიც საჯაროდ დასცინის, გამოხატავს ზიზღს, სიძულვილს ან აქეზებს დისკრიმინაციას პირის ან პირთა ჯგუფის მიმართ მათი კუთვნილების გამო ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეროვნების, ენის, წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, რელიგიის, მრნამსის ან შეხედულებების გამო დაისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ორ წლამდე ვადით. 3) პირი, რომელიც საჯაროდ ახალისებს ძალადობას ან ფიზიკურ შეურაცხყოფას ჯგუფის ან პირის მიმართ, დაფუძნებულს ასაზე, სქესზე, სექსუალურ ორიენტაციაზე, შეზღუდულ შესაძლებლობებზე, წარმომავლობაზე, რასაზე, ეროვნებაზე, ენაზე, სოციალურ სტატუსზე, რელიგიაზე, მრნამსზე ან შეხედულებებზე; ან აფინანსებს ან სხვაგვარად მხარს უჭერს ამგვარ საქმიანობას ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების შეზღუდვით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე. 4) იურიდიული პირი ასევე, პასუხიმგებელია ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის. გარდა ამისა, ამავე კოდექსის 170¹ მუხლით ისჯება პირი, რომელიც შექმნის თანამზრაზველთა ჯგუფს, ორგანიზებულ ჯგუფს ან ორგანიზაციას, რომელიც მიზნად ისახეს პირის ან პირთა ჯგუფის დისკრიმინაციას ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, რასის, ეროვნების, ენის, წარმომავლობის, სოციალური სტატუსის, რელიგიის, მრნამსის ან შეხედულებების საფუძველზე; ან მონაწილეობს ასეთ ჯგუფში, აფინანსებს ან სხვაგვარ მხარდაჭერას გამოხატავს ამ ჯგუფის ან ორგანიზაციის მიმართ (იურიდიული პირი ასევე, პასუხიმგებელია ამ მუხლით გათვალისწინებული ქმედებებისთვის).⁴⁶ ნიდერლანდების კანონმდებლობა⁴⁷ სჯის ნებისმიერ ადამიანს, რომელიც საჯაროდ, სიტყვიერად, წერილობით ან სურათების საშუალებით მიზანმიმართულად შეურაცხმყოფელ გან-

⁴⁶ იხ.: https://www.legislationonline.org/download/id/8272/file/Lithuania_CC_2000_am2017_en.pdf

⁴⁷ იხ.: https://www.legislationonline.org/download/id/6415/file/Netherlands_CC_am2012_en.pdf ნაწილი 137(3).

ცხადებებს აკეთებს პირთა ჯგუფის მიმართ, მათი რასის, რელიგიის, რწმენის, ჰეტერო ან ჰომოსექსუალური ორიენტაციის, ფიზიკური, გონებრივი ან ინტელექტუალური შეზღუდვის გამო.

აღსანიშნავია, რომ რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ საქართველოს მისცა სიძულვილის ენის საწინააღმდეგო კანომდებლობის შექმნის რეკომენდაცია. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით, სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოთქმული იყო შეფოთება, რომ ამგვარი წინადადება უფრო მეტად დაარღვევდა გამოხატვის თავისუფლების უფლებას, ვიდრე დაიცავდა ჯგუფებს, რომლებიც დისკრიმინაციას განიცდიან.

სიძულვილის ენა საკმაოდ მჭიდრო კავშირშია გამოხატვის თავისუფლებასთან, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს დემოკრატიულ საზოგადოებაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ღირებულებას და თავად ამ საზოგადოების საფუძველს. ევროპული მიდგომით გამოხატვის თავისუფლება მიჩნეულია ერთ-ერთ მნიშვნელოვან უფლებად, თუმცა, ამასთან მისი შეზღუდვის საფუძვლები გაცილებით ფართოა, ვიდრე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების შემთხვევაში (შემდეგ აშშ). აღნიშნული გარკვეულწილად, განპირობებულია მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ხელმეორედ ანტისემიტური და ფაშისტური იდეოლოგიის გავრცელების შიშით. მაგალითად, 1990 წლიდან საფრანგეთში ებრაელთა გენოციდის უარყოფა ითვლება სისხლის სამართლის დანაშაულად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკით, სიძულვილის ენა არ არის დაცული იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჩამოთვლილი ორი მიდგომიდან ერთ-ერთი: 1) კონვენციის მე-17 მუხლთან მიმართებაში (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა), როდესაც სახეზეა სიძულვილის ენა და იგი უარყოფს კონვენციის ფუნდამენტურ უფლებებს; 2) კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლების მე-2 პუნქტებთან მიმართებაში, რომლითაც დაწესებულია გამოხატვის თავისუფლების და შეკრება-მანიფესტაციის შეზღუდვის საფუძვლები. აღნიშნული მიდგომა გამოიყენება მაშინ, როდესაც სახეზეა სიძულვილის ენა, თუმცა იგი არ ენინააღმდეგება კონვენციის ფუნდამენტურ ღირებულებებს (არა მიმართული მათი განადგურებისაკენ).

სტრასბურგის სასამართლომ არაერთი საქმე განიხილა, რომელიც ეხებოდა სწორედ კონვენციის მე-10 და მე-11 მუხლებს და დაკავშირებული იყო სიძულვილის ენასთან. მაგალითად, საქმეში გონა

უნგრეთის წინააღმდეგ, სასამართლომ ჩათვალა, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-11 მუხლი, ვინაიდან სახელმწიფოს ჰქონდა იმის უფლებამოსილება, რომ პოლიტიკურ პარტიებთან მიმართებაში გადაედგა პრევენციული ნაბიჯები დემოკრატიის დასაცავად და არ დაეშვა ისეთი ასოციაციის საქმიანობა, რომელიც რასისტულ და შეურაცხმყოფელ მესიჯებს ავრცელებდა დემონსტრაციების საშუალებით.⁴⁸ კერძოდ, „სასამართლოს აზრით, სახელმწიფო უფლებამოსილია გაატაროს პრევენციული ღონისძიებები დემოკრატიის დასაცავად *vis-a-vis*, ასეთი არაპარტიული უწყებების შემთხვევაში, როდესაც საფრთხე ემუქრება იმ უფლებების და თავისუფლებების შელახვას, რომელიც წარმოადგენს დემოკრატიული საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების საყრდენს. ერთ-ერთი ასეთი ღირებულებაა რასობრივი დისკრიმინაციისგან თავისუფალი საზოგადოების შევრების თანაარსებობა, რომლის გარეშეც დემოკრატიული საზოგადოება ვერ იარსებებს. სახელმწიფო ვერ იქნება ვალდებული დაიცადოს და არ ჩაერისოს იქამდე, სანამ პოლიტიკური მოძრაობა იმოქმედებს ისე, რომ შელახავს დემოკრატიის ან გამოიწვევს ძალადობას. იმ შემთხვევაში, თუ მოძრაობა არ ეცდება შეამციროს მისი ძალაუფლება და მისი პოლიტიკის რისკის შემცველი გავლენა დემოკრატიაზე, სახელმწიფო უფლებამოსილია განახორციელოს პრევენციული მოქმედება თუ ის დაადგენს, რომ ეს მოძრაობა კონკრეტულ ნაბიჯებს დაგამს საზოგადოებრივ ცხოვრებაში იმ პოლიტიკის განსახორციელებლად, რომელიც არ არის შესაბამისობაში კონვენციის და დემოკრატიის სტანდარტებთან“.⁴⁹

თუმცა, მაგალითად, საქმეში ჯერსილდი დანის წინააღმდეგ,⁵⁰ ვრომელმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას. კერძოდ, საქმე ეხებოდა დანიელ ჟურნალისტს, რომელმაც ტელესტუდიაში მიიწვია რასისტული გან-

⁴⁸ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა, კვლევა – სიძულვილის ენა, 2014, გვ.5.

⁴⁹ ვინა უნგრეთის წინააღმდეგ (Vona v. Hungary), №35943/10, 9 ივლისი, 2013, §57 იბ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:\[%22%22CASE%20OF%20JERSILD%20v.%20DENMARK%22%22\].%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}>](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:[%22%22CASE%20OF%20VONA%20v.%20HUNGARY%22%22].%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22].%22itemid%22:[%22001-144578%22]}) ჟელმისაწვდომია ქართულ ენაზე).

⁵⁰ ჯერსილდი დანის წინააღმდეგ (Jersild v. Denmark), [დიდი პალატა], №15890/89, 23 სექტემბერი, 1994, იბ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:\[%22%22CASE%20OF%20JERSILD%20v.%20DENMARK%22%22\].%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}>](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:[%22%22CASE%20OF%20JERSILD%20v.%20DENMARK%22%22].%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) ჟელმისაწვდომია ქართულ ენაზე).

წყობილების მქონე ახალგაზრდების ჯგუფი, რომელიც თავის თავს „მწვანე ქურთუკიანებს“ უწოდებდა. ინტერვიუს დროს ამ ჯგუფის სამი წარმომადგენელი შეურაცხმყოფელად და დამამცირებლად მოიხსენიებდა ემიგრანტებსა და დანიაში მცხოვრებ ეთნიკურ ჯგუფებს. ხანგრძლივი ჩანაწერი უურნალისტმა რედაქტირების შედეგად დაიყვანა რამდენიმე წუთამდე და ფილმი გაუშვა დანიის რადიომაუწყებლობის კორპორაციის ეთერში. აღნიშნულთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სამი ახალგაზრდის მიმართ რასისტული განცხადებებისთვის და უურნალისტის მიმართ რასისტული განცხადებების გავრცელების ხელშეწყობისა და წაქეზებისათვის.

თავდაპირველად, სტრაბურგის სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა მასობრივი საინფორმაციო საშუალებების როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა იქვე მიუთითა, რომ უურნალისტმა არ უნდა გადალახოს საზღვარი, რომელიც დადგენილია „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის“ დასაცავად. სასამართლომ განსაკუთრებით აღნიშნა აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებების უშუალო და ძლიერი ზემოქმედების უნარი და მიუთითა, რომ „აუდიოვიზუალურ საინფორმაციო საშუალებებს უფრო დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია, ვიდრე პრესას. აუდიოვიზუალური საინფორმაციო საშუალებები ინფორმაციას გადასცემენ შინაარსობრივად დატვირთული თვალსაჩინოებით, რაც პრესას არ შეუძლია“. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ კონვენციის მე-10 მუხლის დებულებით დაცულია არა მხოლოდ გამოხატული მოსაზრებებისა და ინფორმაციის არსი, არამედ მათი გადმოცემის ფორმაც.

წინამდებარე საქმეში, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლოა სიუჟეტი აშკარად არ მიუთითებდა რასობრივი ზიზღისა და ერთი რასის მეორეზე უპირატესობის თვალსაზრისით პოპულარიზაციის ამორალურობასა და უკანონობაზე, მაგრამ ეთერში გასულ მასალას მთლიანობაში არ ჰქონდა მიზნად რასისტული მოსაზრებებისა და შეხედულებების პროპაგანდა. საქმეში ხაზი გაესვა იმ ფაქტსაც, რომ ტელეწამყვანმა შესავალი დაიწყო „მინიშნებით ბოლოდროინდელ საკარო დისკუსიებზე და პრესაში გამოქვეყნებულ კომენტარებზე დანიაში რასიზმის წინააღმდეგ და ამგვარად მოუწოდა მაყურებლებს ეყურებინათ პროგრამისთვის ამ კონტექსტში“. შემდგომში მან აღნიშნა, რომ „პროგრამის მიზანი იყო პრობლემაზე რეაგირება, კონკრეტული რასისტული ორიენტაციის მქონე პირების გამოვლენა მათი მენტალიტეტისა და სოციალური წარმომავლობის ჩვენებით“. ცხადი იყო, უურნალისტი ინტერვიუს სა-

შუალებით ცდილობდა ეჩვენებინა და განემარტა, თუ როგორი და-მოკიდებულება ჰქონდა საზოგადოებისათვის მტკიცნეული საკითხებისადმი ახალგაზრდების კონკრეტულ ჯგუფს, რომლებიც მცირე განათლებისა და თავიანთი სოციალური მდგომარეობით უკმაყოფილების გამო მიღრეკილი იყვნენ ძალადობისაკენ და უკვე ჰქონდათ კიდეც, კრიმინალური წარსული. გადაცემაში „მწვანე ქურთუკიანების“ ჯგუფის წევრები მოხსენიებულნი იყვნენ ექსტრემისტულად განწყობილ ადამიანებად.

გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა, რომ უურნალისტის დასჯა ინტერვიუს დროს სხვა პირის მიერ გაკეთებული განცხადების გავრცელებაში დახმარებისათვის, სერიოზულად შეამცირებს პრესის წვლილს საზოგადოებისათვის მტკიცნეულ საკითხებზე დისკუსიებში და ეს ზომები არ უნდა იყოს მიღებული, თუ ამისთვის განსაკუთრებული მიზეზები არ არსებობს. ამ კონტექსტში უარყო მთავრობის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ უურნალისტის მიმართ გამოყენებულ იქნა ჯარიმის მინიმალური ოდენობა და ალნიშნა, რომ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ უურნალისტი გამტყუნდა და დაისჯა. სასამართლომ მიიჩინა, რომ აზრის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევა მოცემულ შემთხვევაში, არ იყო „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. ხოლო გამოყენებული საშუალება კი, „თანაზომიერი“, „სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის კანონიერი მიზნის მისაღწევად“.

საყურადღებოა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სტრასბურგის სასამართლოს დიდი პალატის მიერ 12 ხმით 7-ს წინააღმდეგ.

უმცირესობაში დარჩენილი მოსამართლეების გარკვეულმა ნაწილმა განმარტა, რომ აღნიშნული საქმე პირველი შემთხვევა იყო, როდესაც ევროპულ სასამართლოს მოუწია განეხილა საქმე რასისტული განცხადებების გავრცელების თაობაზე, სადაც ადამიანთა დიდი ჯგუფის „ადამიანური“ ღირსება ილახებოდა. კერძოდ, მოსამართლეთა თქმით, ადრინდელ გადაწყვეტილებებში ევროპული სასამართლო ხაზგასმით აფიქსირებდა მასობრივი საშუალებების უდიდეს მნიშვნელობას დემოკრატიულ საზოგადოებაში, თუმცა მას არასოდეს განუხილავს სიტუაცია, სადაც „სხვათა უფლებები და რეპუტაცია“ ისეთი დიდი დოზით ყოფილიყოს წარმოდგენილი, როგორც აღნიშნულ საქმეში.

ამავე განსხვავებული აზრის ავტორთა შეხედულებით, ისინი ეთანხმებიან უმრავლესობას, რომ „მწვანე ქურთუკიანები“ თავისთა-

ვად არ სარგებლობენ კონვენციის მე-10 მუხლით გათვალისწინებული დაცვით, მაგრამ აღნიშნავენ, რომ იგივე მიღებობა უნდა გავრცელდეს ჟურნალისტებზეც, რომლებიც ავრცელებენ რასისტულ იდეებს მათი მხარდაჭერით ან მონოზებით. ამასთან, დასძინეს, რომ აუცილებელია სათანადო წონასწორობა პრესის თავისუფლებასა და სხვათა უფლებების დაცვას შორის, თუმცა უმრავლესობაშ გაცილებით მეტი უპირატესობა მიანიჭა ჟურნალისტის თავისუფლებას, ვიდრე მათ, ვინც რასობრივი ზიზღისგან ზარალდება. მოსამართლებმა ხაზი გაუსვეს შემდეგ გარემოებას, რომ ჟურნალისტმა მთლიანი ინტერვიუ რამდენიმე წუთამდე დაიყვანა, სადაც განზრას იყო დატოვებული ყველაზე უხეში კომენტარები და ამის გათვალისწინებით, განსაკუთრებით აუცილებელი იყო ტელეწამყვანის მხრიდან მქაფიო რასიზმის დამგმობა პოზიციის გამოთქმა. გარდა ამისა, გადაწყვეტილების მიმღებ მოსამართლეთა უმრავლესობას კი მიაჩნია, რომ ამგვარი უარყოფითი შეფასება თვით სიუსეტის კონტექსტიდან გამომდინარებული და მაგრამ მათი აზრით, ეს იყო ფარული შინაარსის ინტერპრეტირება. ვერავინ უარყოფს, რომ საზოგადოების ნაწილმა ტელევიზით მოისმინა თავიანთი რასისტული აზრების დასტური.

ზემოაღნიშვნულთან დაკავშირებით, მეორე განსხვავებული აზრის ავტორთა ნაწილმა დამატებით განმარტა, რომ ჯერსილდის საქმეში გამოთქმული განცხადებები, რომლებიც ყოველგვარი კომენტარების გარეშე გადაიცა ტელევიზით, ნამდვილად ახდენდა ზიზღის პროვოცირებას არა მარტო ზოგადად, უცხოელების, არამედ შევანიანების მიმართ, რომლებიც აღნერილი იყვნენ, როგორც დაბალი რასა („შეხედე გორილას სურათს და მერე შეხედე ზანგს, იგივე აღნაგობა... ზანგი არ არის ადამიანი, ის ცხოველია, ისევე როგორც ყველა სხვა უცხოელი მუშა, თურქები, იუგოსლავები და რავიცი, რასაც თავის თავს ეძახიან“).

საბოლოოდ, განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა მიიჩნიეს, რომ რასობრივი უმცირესობის უფლება არ შეიძლება ნაკლებად მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე ინფორმაციის გადაცემის უფლება და ამ კონკრეტულ სიტუაციაში სტრაბურგის სასამართლოს პრეროგატივას არ წარმოადგენს დანიის უზენაესი სასამართლოს მაგივრად იმის გადაწყვეტა, ამ კონფლიქტური ინტერესებიდან, რომელია უფრო მნიშვნელოვანი. მათი აზრით, დანიის სასამართლოები იმ თავისუფლების ფარგლებში მოქმედებდნენ, რომელიც დატოვებული აქვთ მონაწილე სახელმწიფოებს ამ საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, დანიის სასამართლოების დადგენილება ვერ იქნება მიჩნეული ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის დარ-

ლვევად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებით, ამერიკული ხედვა განსხვავებულია ევროპული მიდგომისგან. ამერიკის კონსტიტუცია და ასევე, ამერიკის უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები ცხადყოფს, რომ საზოგადოებაში გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთ მნიშვნელოვანს როლი ასრულებს. ამერიკული მიდგომით, სიძულვილის ენა არ არის დასჯადიქმედება და იგი ფაქტიურად, გამოხატვის ერთ-ერთ ლეგიტიმურ ფორმადაა მიჩნეული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი გამოხატვა აშკარა და მყისიერ საფრთხეს ქმნის დემოკრატიულ საზოგადოებაში.⁵¹

სიძულვილის ენასთან დაკავშირებით, ამერიკის უზენაესი სასამართლოს ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებად მიჩნეულია საქმე – R.A.V v. City of St. Paul. 14 წლის თეთრკანიანმა ახალგაზრდამ მეგობრებთან ერთად დაწვა დამტვრეული სკამის ნაწილებისგან დამზადებული ჯვარი ქალაქში მცხოვრები აფრომამერიკული ოჯახის სახლის ნინ (გაზონზე). ჯვრის დაწვა ცხადყოფდა, რომ ეს აფრომამერიკული ოჯახი, როგორც მინიმუმ, ამ ახალგაზრდისათვის არ იყო მისაღები სამეზობლოში. ბიჭი გაასამართლეს მინესოტას კანონმდებლობით, რომელიც ითვალისწინებდა სასჯელს აღნიშნული ქმედებისათვის, კერძოდ, დასჯადი იყო ქმედება, როდესაც პირი საჯარო ადგილზე ან კერძო საკუთრებაში განათავსებდა ცეცხლნაკიდებული ჯვრის ან სვასტიკის სიმბოლოს, ობიექტს, დასახელებას, აღწერილობას ან გრაფიტს და თუ პირი აცნობიერებდა ან ჰქონდა გონივრული საფუძველი გაეცნობიერებინა, რომ ეს ქმედება იწვევდა სხვა პირების გაბრაზებას, შეურაცხყოფას ან შიშს მათი რასის, კანის ფერის, წარმოშობის, რელიგიის, მრწამსის ან სქესის საფუძვლით. ამერიკის უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს კანონი უსაფუძვლოდ ზღუდავდა გამოხატვის თავისუფლებას და შესაბამისად, ეწინააღმდეგებოდა კონსტიტუციის პირველ შესწორებას და გააუქმა იგი. მოსამართლე სკაილიამ აღიარა, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სახელმწიფო ორგანიზაციის ინტერესია, თუმცა მან მიიჩნია, რომ ამ ინტერესის დაცვა შესაძლებელია გამოხატვის თავისუფლების შეუზღუდავად.

⁵¹ იხ.: <https://www.gdi.ge/uploads/other/0/190.pdf> გვ. 10.

რელიგიური ნისას აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შემსახურა და დევნა (სსპ-ის 155-ე და 156-ე მუხლები)

1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-18 მუხლი ადგენს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას თავისი რელიგიის თუ რწმენის აღმსარებლობისა, როგორც ერთპიროვნულად, ასევე სხვებთან ერთად, მოძღვრებაში ღვთისმსახურებაში და რელიგიურ და რიტუალურ წეს-ჩვეულებათა შესრულებაში საჯარო და კერძო წესით“.⁵² ამავე დეკლარაციის მე-19 მუხლი ამბობს, რომ „ყოველ ადამიანს აქვს უფლება მრნამსის თავისუფლებისა და მისი თავისუფლად გამოიხმისა; ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას დაუბრკოლებლად იქონიოს თავისი მრნამსი და ეძიოს, მიიღოს და გააერცელოს ინფორმაცია და იდეები ყოველგვარი საშუალებებით და სახელმწიფო საზღვრებისაგან დამოუკიდებლად“.⁵³

ასევე, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ მიუთითებს, რომ „1. თითოეული ადამიანი სარგებლობს აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებით. ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას საკუთარი შეხედულებისამებრ პქონდეს ან მიიღოს რელიგია ან მრნამსი და თავისუფლად აღიარებდეს თავის რელიგიას და მრნამსს, როგორც ცალკე, ისე სხვებთან ერთად, საჯაროდ თუ კერძოდ, ასრულებდეს და გამოხატავდეს საკუთარ რელიგიას ლოცვით, მოძღვრებითა და სწავლებით. 2. არავინ უნდა დაექვემდებაროს იძულებას, რომელიც ლახავს მის თავისუფლებას, პქონდეს ან მიიღოს საკუთარი არჩევანის რელიგია და მრნამსი. 3. რელიგიისა და მრნამსის აღიარების თავისუფლება შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ, კანონით დადგენილ შემთხვევებში და საზოგადოების უშიშროების, წესრიგის, ჯანმრთელობისა და მორალის, ისევე, როგორც სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვის მიზნით. 4. ნინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები კისრულობენ ვალდებულებას, პატივი სცენ მშობელთა და შესაბამისად, კანონიერი მეურვეების თავისუფლებას, საკუთარი მნამსის შესაბამისად უზრუნველყონ თავიანთი ბავშვების რელიგიური და ზნეობრივი აღზრდა“.⁵⁴

⁵² იხ.: <http://www.parliament.ge/uploads/other/115/115526.pdf>

⁵³ იხ.: <http://www.parliament.ge/uploads/other/115/115526.pdf>

⁵⁴ იხ.: <https://matsne.gov.ge/document/view/1398335?publication=0> მე-18 მუხლი.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-9 მუხლის მიხედვით, „ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა; ეს უფლება მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და, აგრეთვე, თავისუფლებას როგორც ინდივიდუალურად, ისე სხვებთან ერთად საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია თუ რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვითა და რიტუალების აღსრულებით. რელიგიის ან რწმენის გაცხადების თავისუფლება ექვემდებარება მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, საზოგადოებრივი წესრიგის, ჯანმრთელობის თუ მორალის ან სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად“.⁵⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე იზეტინ დოგანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ,⁵⁶ ეხებოდა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის გალდებულებას რელიგიის მრნამსის მიმართ.

მომჩივნები ალევის რწმენის მიმდევრები იყვნენ. სახელმწიფომ მათ უარი განუცხადა მოთხოვნაზე, ჰქონოდათ საჯარო მსახურების უფლება, მაშინ როცა აღნიშული უფლებამოსილება მინიჭებული ჰქონდა მოქალაქეთა უმრავლესობას, რომლებიც სუნიზმის მიმდევრები იყვნენ. მომჩივნები კონვენციის მე-9 მუხლზე დაყრდნობით დავობდნენ, რომ ეროვნული ხელისუფლება არღვევდა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულებას რელიგიური კონფესიების მიმართ; აპლიკანტები აგრეთვე, დაეყრდნენ მე-9 მუხლს მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და დავობდნენ, რომ ალევის მიმდევრები ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობას იღებდნენ, ვიდრე ისლამის სუნიტური მიმდინარეობის მიმდევარი მოქალაქეები.

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე აღებული და აგრეთვე, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში და დავობდნენ, რომ ალევის მიმდევრები ნაკლებად ხელსაყრელ მოპყრობას იღებდნენ, ვიდრე ისლამის სუნიტური მიმდინარეობის მიმდევარი მოქალაქეები.

დიდი პალატა არ შემოიფარგლა მხოლოდ დისკრიმინაციის დადგენით (მე-14 მუხლი მე-9 მუხლთან ერთობლიობაში) და ამავე

⁵⁵ ob.: <https://matsne.gov.ge/document/view/1208370?publication=0>

⁵⁶ იზეტინ დოგანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (Izzettin Dogan and Others v. Turkey), [დიდი პალატა], №62649/10, 26 აპრილი, 2016.

დროს დაადგინა მე-9 მუხლის დარღვევა ცალკე აღებული (ნებატიური ვალდებულება). ამგვარად, ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო აღევის რწმენის რელიგიური ხასიათის აღარება, რამაც დააბრკოლა აღევიზის მიმდევრები, „ეფექტიანად ესარგებლათ“ თავიანთი რელიგიის თავისუფლებით შეიდა კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, დადგინდა, რომ გასაჩივრებულმა უარმა უარყო აღევის მიმდევართა საზოგადოების დამოუკიდებელი არსებობა და მისი წევრებისთვის შეუძლებელი გახდა ესარგებლათ თავიანთი რელიგიური სალოცავებით.

მე-9 მუხლთან მიმართებით საჩივრის განხილვისას, დიდმა პალატამ დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სასამართლოს როლს არ წარმოადგენდა გამოეთვეა მოსაზრება მის წინაშე არსებული თეოლოგიური დებატების შესახებ (აღევის რწმენისა და მუსულმანური რელიგიის შესახებ). ამრიგად, სასამართლოს მსჯელობა შემოიფარგლა იმის დადგენით, რომ აღევის რწმენასა და მის მიმდევრებზე ვრცელდებოდა კონვენციის მე-9 მუხლი.

მე-9 მუხლის დარღვევის დადგენისას, დიდმა პალატამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი რიგ პრინციპებს და ყურადღება გაამახვილა სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულების ორ ასექტზე: 1. სახელმწიფოს როლი, რაც მოიცავს სხვადასხვა რელიგიური მრნამსის მქონე პირებისთვის რელიგიის თავისუფლების უფლებით სარგებლობის ნეიტრალურად და მიუკერძოებლად უზრუნველყოფას, შესაძლებელს ხდის მის მიერ გარკვეული ობიექტური ელემენტების შეფასებას (როგორიცაა, „შეხედულებების სერიოზულობა, დამაჯერებლობა და თანმიმდევრულობა), თუმცა სახელმწიფოს აღნიშნული როლი შეუთავსებელია მისი მხრიდან ნებისმიერ მცდელობასთან, შეაფასოს რელიგიური რწმენის ან ამ რწმენის გამოხატვის ფორმების ლეგიტიმურობა. მე-9 მუხლით დაცული უფლება იქნებოდა თეორიული და ილუზორული ხასიათის, თუ სახელმწიფოებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლები მათ საშუალებას მისცემდა, რელიგიური დენომინაციის ცნება იმდენად ვიწროდ განემარტა, რომ არატრადიციული და უმცირესობათა რელიგიები, როგორიც არის აღევი, დაეტოვებინათ დაცვის სფეროს მიღმა (იხ.: კიმლია და სხვები რუსეთის წინააღმდეგ და მაგიარ კერესტენი მენონიტა ევიპაზი და სხვები უნგრეთის წინააღმდეგ); 2) სახელმწიფოს ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულების მთავარ შედეგს წარმოადგენდა რელიგიური საზოგადოებების ავტონომიურობის პრინციპი, რომლის მიხედვით,

რელიგიური ორგანიზაციების უმაღლესი წოდების სასულიერო პირებს შეუძლიათ განსაზღვრონ, რომელ აღმსარებლობას მიეკუთვნებან ისინი. სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა გამართლებული იქნებოდა მხოლოდ ძალიან სერიოზული და დამაჯერებელი მიზეზების არსებობის შემთხვევაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მოპასუხე სახელმწიფოს დამოკიდებულება აღევის აღმსარებლობის მიმართ არღვევს მათი ავტონომიური არსებობის უფლებას, რომელიც კონვენციის მე-9 მუხლის არსებითი გარანტია (იხ.: მიროლუბოვსი და სხვები ლატვიის წინააღმდეგ).

უფრო მეტიც, პლურალისტური საზოგადოების მოთხოვნებისა და ლირებულებების აღწერისას, სასამართლომ გამოთქვა მოსაზრება, რომ „რელიგიური მრავალფეროვნების პატივისცემა უდავოა და დღევანდელობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ამის გამო სახელმწიფოებმა რელიგიური მრავალფეროვნება უნდა მიიღონ არა, როგორც საფრთხე, არამედ როგორც სიმდიდრე“. (იხ.: ნაჩროვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ).⁵⁷

ზემოთ მოტანილი გადაწყვეტილებიდანაც ჩანს, რომ რელიგიის თავისუფლების დაცვის ხარისხი კვეყნის დემოკრატიულობისა და პლურალიზმის საზომია. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება და აღნიშნულ უფლებათა შეზღუდვა დასაშვებია მხოლოდ კანონის შესაბამისად, დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის, ჯანმრთელობის ან სხვათა უფლებების დაცვის მიზნით. ამასთან, დაუშვებელია ადამიანის დევნა რწმენის, აღმსარებლობის ან სინდისის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ.⁵⁸ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 155-ე და 156-ე მუხლების არსებობა ნარმოადგენს ამ კონსტიტუციური უფლების დაცვის სამართლებრივ ერთ-ერთ გარანტიას. კერძოდ, სსკ-ის 155-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება ღვთისმსახურების ან სხვა რელიგიური წესისა თუ ჩვეულების აღსრულებისათვის უკანონოდ ხელის შემლაში, ძალადობით ან ძალადობის მუქარით, ანდა თუ მას ახლდა მორწმუნის ან ღვთისმსახურის რელიგიური

⁵⁷ იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/adamianis-uflebata-evr.sasamarthlos-2015-2017w-ganc.krebuli.pdf> გვ. 70-72.

⁵⁸ საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლი.

გრძნობის შეურაცხყოფა. ამასთან, დევნისგან დაცვის გარანტიას ქმნის სსკ-ის 156-ე მუხლი, რომელიც დანაშაულად და დასჯად ქმედებად აცხადებს ადამიანის დევნას სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიერელ მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

საქართველოში კვლავ აქტუალურია რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმის შემთხვევები. კერძოდ, ნინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ყველა დანაშაული მიმართული იყო იეჰოვას მოწმეების ნინააღმდეგ.

იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებული აგრესია, ძირითადად გამოიხატება სტენდების დაზიანებასა და რელიგიური ლიტერატურის განადგურებაში. ამასთან, აღნიშნულ ქმედებებს თან ანლავს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესწავლილი საქმეების მიხედვით, აგრესია როგორც წესი, საჯარო სივრცეში ვლინდება და იეჰოვას მოწმეებს უმეტესად ქუჩაში მსახურობის დროს უსწორდებიან. კერძოდ, რელიგიური ლიტერატურისა და ბუკლეტების გავრცელების დროს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თემი ყველაზე აქტიურად ენევა პროზელიტიზმს და სწორედ ამიტომ ყველაზე ხშირად განიცდის დისკრიმინაციულ, ძალადობრივ და ნინასწარ განწყობებზე დაფუძნებულ ნეგატიურ დამოკიდებილებებს.

იეჰოვას მოწმეების ნინააღმდეგ ჩადენილმა სამართალდარღვევების ანალიზმა ცხადყო, რომ საკვლევი პერიოდის განმავრობაში, საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებს ერთი განაჩენი აქვთ მიღებული სსკ-ის 155-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ოთხი – სსკ-ის 156-ე მუხლის საფუძველზე. აღნიშნულ ყველა საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი.

იეჰოვას მოწმეების მიმართ განხორციელებული ძალადობისა და დევნის ფაქტების ხასიათის საჩვენებლად ქვემოთ მოტანილია რამდენიმე შემთხვევა:

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე⁵⁹ და დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2017 წლის 22 აგვისტოს, ქ. თბილისში, აკ. წერეთლის გამზირზე არ-

⁵⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 4 დეკემბრის განაჩენი საქმეზე №1/4595-17.

სებულ ამავე სახელობის სკვერში მყოფმა ბრალდებულმა შენიშნა იქმოვას მოწმე ორი ქალბატონი, რომელსაც საინფორმაციო მოძრავ სტენდზე განთავსებული ჰქონდა იქმოვას მოწმეთა თათვის განკუთვნილი რელიგიური შინაარსის ლიტერატურა და ენეოდა რელიგიურ მოღვაწეობას. ბრალდებულმა რელიგიური შეუწყისარებლობის მოტივით, განიზრახა იქმოვას მოწმეთა დეპნა მათი აღმსარებლობის და რწმენის გამო, რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით და ამ მიზნით, მივიდა აღნიშნულ ორ ქალბატონთან, შეურაცხმყოფებილი სიტყვებით მოსთხოვა სტენდის აღება და ზემოაღნიშნული ადგილის დატოვება, რის შემდგომ აიღო სტენდზე დადებული ბანერი და სტენდზე დარტყმით გადატეხა შუაზე. ბრალდებულმა შეურაცხმყოფელი სიტყვებით დატოვა შემთხვევის ადგილი. გარდა აღნიშნული შემთხვევისა, ბრალდებულმა 2017 წლის 24 სექტემბერს, იმავე სკვერში განიზრახა იქმოვას მოწმეთა დევნა. კერძოდ, მივიდა იქმოვას მოწმე მამაკაცთან, რომელსაც შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოსთხოვა სტენდის აღება, რის შემდეგ გაშლილი ხელი რამდენჯერმე დაარტყა სახის არეში და სწრაფად მიიმალა შემთხვევის ადგილიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა რა, სისხლის სამართლის საქმე, შეაფასა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი ყველა მტკიცებულება (აღსანიშნავია, რომ სასამართლო სხდომაზე მტკიცებულებები მხარეებს სადაცოდ არ გაუხდიათ, რის გამოც მათ მიენიჭათ პრეიუდიციული მნიშვნელობა) საქმესთან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით და დამტკიცებულად მიიჩნია ბრალდებულის მიერ ინკრიმინირებული დანაშაულის ჩადენა. კერძოდ, ბრალდებულმა ჩაიდინა ადამიანის დევნა, აღმსარებლობის და რწმენის გამო, რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით, ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას იმავე ვადით. გარდა ამისა, მანვე ჩაიდინა ადამიანის დევნა აღმსარებლობის და რწმენის გამო რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ძალადობით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან თავისუფლების შეზღუდვას ვადით, სამ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით სამ წლამდე ან უამისოდ.

სასჯელის განსაზღვრისას, სასამართლომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია ჩადე-

ნილი დანაშაულის გულწრფელი აღიარება და მონანიება, ხოლო პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოებად – ქმედების ჩადენა რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით, არაფხიზელ მდგომარეობაში.

საბოლოოდ, სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო და დანაშაულთა ერთობლიობით, სასჯელის სახედ და ზომად განუ-საზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, რაც სკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე, პირობით არ იქნას გამოყე-ნებული და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდეს 2 (ორი) წელი.

რელიგიური ხასიათის ძალადობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ამგვარი ტიპის საქმეები ევროპულ სასამართლოში იშვია-თია და სამწუხარო ფაქტია, რომ ამ მხრივ სტრასბურგის სასამარ-თლოს ყველაზე ცნობილი პრეცედენტი სწორედ ქართულმა საქ-მემ შექმნა. საქართველოში წლების განმავლობაში, იეჰოვას მოწ-მეები ერთ-ერთი ყველაზე მარგინალიზებული რელიგიური თემია. 2007 წელს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიი-ლო გადაწყვეტილება საქმეზე გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმდეგ.⁶⁰ აღნიშნულ საქმეში, რომელიც ეხებოდა მამა ბასილისა და მისი მომხრეების თავდას-ხმასა და ძალადობას იეჰოვას მოწმე ქრისტიანებზე 1999 წელს, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის (ნამების აკრძალვა) დარღვევა კარგად დოკუმენტირე-ბულ ძალადობის ფაქტებზე, ხელისუფლების ორგანოების უმოქ-მედობისა და სათანადო და მიუკერძოებელი გამოძიების ჩატარე-ბის ვალდებულების დარღვევის გამო. ამასთან, დარღვეულად ჩა-ითვალა კონვენციის მე-9 მუხლი (აზრის, სინდისასა და რელიგიის თავისუფლება), რადგან ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ტო-ლერანტული გარემო, სადაც მოსარჩელები მოახერხებდნენ, ესარგებლათ თავიანთი რწმენის თავისუფლებით. მე-9 და მე-3 მუხ-ლთან მიმართებით, მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) დარღვევასთან დაკავშირებით სასამართლომ აღნიშნა, რომ ხელი-

⁶⁰ გლდანის კონგრეგაციის 97 წევრი და 4 სხვა პირი საქართველოს წინააღმ-დეგ (97 members of the gldani congregation of jehovah's witnesses and 4 others v. Georgia), №74456/01, 3 მაისი, 2007 იბ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng%{22fulltext%22:\[%22%22CASE%20OF%20MEMBERS%20OF%20THE%20GLDANI%20CONGREGATION%20OF%20JEHOVAH'S%20WITNESSES%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%22%22\],%22documentcollectionid%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng%{22fulltext%22:[%22%22CASE%20OF%20MEMBERS%20OF%20THE%20GLDANI%20CONGREGATION%20OF%20JEHOVAH'S%20WITNESSES%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%22%22],%22documentcollectionid%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) (ხელმისაწვდომია ქართულ ენაზე).

სუფლების ორგანოები თავიანთი უმოქმედობით მამა ბასილსა და მის მომხრეებს სიძულვილით მოტივირებული გამოსვლებისა და რელიგიური ნიშნით ძალადობის საშუალებას აძლევდნენ და პრაქტიკულად მისი ძალადობის თანამონაწილეები იყვნენ, რითაც აშკარად არღვედნენ კანონის წინაშე კუველა პირის თანასწორობის პრინციპს.⁶¹ გარდა ამისა, 2014 წლის 7 ოქტომბერს, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,⁶² სადაც სასამართლომ იქოვას მოწმეთა მიერ წარდგენილ კოლექტიურ სარჩელზე ერთხმად დაადგინა სახელმწიფოს მიერ ევროპული კონვენციის მე-3 (წამების აკრძალვა), მე-9 (აზრის, სინდისასა და რელიგიის თავისუფლება) და მე-14 (დისკრიმინაციის აკრძალვა) მუხლების დარღვევა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა სისხლის სამართლის საქმე⁶³ და დადგენილად მიიჩნია შემდეგი: 2017 წლის 17 მაისს, არსებულ საქმეზე მყოფმა ბრალდებულმა განახორციელა იქოვას მოწმეთა დევნა, ძალადობით და ძალადობის გამოყენების მუქარით, რაც გამოიხატა მათთვის სიტყვიერი შეურაცხყოფის მიყენებაში და ფიზიკური ანგარიშესწორების მუქარაში, რის შემდეგაც მუშტი ჩარტყა სტენდს, რომელზედაც იქოვას ლიტერატურა იყო განთავსებული და დააზიანა. იქოვას მოწმეებმა შეწყვიტეს საქმიანობა.

სასამართლოს შეფასების საგანი გახდა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნა, რომლის თანახმადაც, „ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის დროს დ. მ. დაავადებული იყო შერეული ტიპის შიზოაფექტური აშლილობით, მიმდინარე პერიოდში იყო რემისიის მდგომარეობა და მას არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების

⁶¹ იხ.: <http://tdi.ge/sites/default/files/religiuri-diskriminaciisa-da-konstituciuri-sekularizmis-kvleva.pdf> გვ. 50.

⁶² ბეღელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Begheluri and others v. Georgia), #28490/02, 7 ოქტომბერი, 2014, იხ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:%22%22CASE%20OF%20BEGHELURI%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%22,%22documentcollectionid2%22:\[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22fulltext%22:%22%22CASE%20OF%20BEGHELURI%20AND%20OTHERS%20v.%20GEORGIA%22,%22documentcollectionid2%22:[%22GRANDCHAMBER%22,%22CHAMBER%22]}) (ხელმისაწვდომია ქრთულ ენაზე).

⁶³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 26 ივლისის განაჩენისაქმეზე №1/2970-17.

ფაქტობრივი ხასიათი და მართლსაწინააღმდეგობა და ეხელ-მძღვანელა მისთვის (შეზღუდული შესაძლებლობა). ამჟამად თა-ვისი ფსიქიკური მდგომარეობით, დ. მ-ს შეუძლია ანგარიში გაუ-ნიოს თავს და უხელმძღვანელოს მას. იმგვარი ფსიქიკური აშლი-ლობები, რომელიც დ. მ-ს ხელს შეუშლის სასჯელის მოხდას, და-ავადებული არ არის, თავისი ფსიქიკური მდგომარეობით დ. მ-ს შეუძლია წარდგეს მართლმასაჯულების წინაშე და პასუხი აგოს ბრალად შერაცხული ქმედებისთვის“.

სასამართლომ ხაზი გაუსვა სსკ-ის 35-ე მუხლს, რომლის მიხედ-ვითაც, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან არ თა-ვისუფლდება სრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეო-ბაში. ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

ბრალდებულის მიმართ სასჯელის განსაზღვრისას, სასამარ-თლომ მხედველობაში მიიღო მისი ჯანმრთელობის მდგომარეო-ბა, კერძოდ, შეზღუდული შერაცხადობა. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა დანაშაულის სიმძმე (ნაკლებად მძიმე კატეგო-რის დანაშაული), ის გარემოებები, რომ ბრალდებული წარსულ-ში არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ მარ-თლსაწინააღმდეგო ქმედებას, სადაცოდ არ გაუხდია მტკიცებუ-ლებები და ხელი შეუწყო საქმეზე სწრაფი მართლმასაჯულების განხორციელებას. გარდა ამისა, ბრალდებულმა თავისი ქმედე-ბით მიყენებული ზიანი აუნაზღაურა ერთ-ერთ დაზარალებულს და მას პრეტენზია არ გააჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და ბრალდებუ-ლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიზანშენონილად მიიჩნია სასჯელის სახით ჯარიმის გამოყენება.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი გადაწყვეტილებებიც მოწმობს, რომ საქართველოში იეპოვას მოწმეები ყველაზე მოწყვლადი ჯგუ-ფია და ისინი ხშირად ხდებიან სხვადასხვა ფიზიკური პირების მხრი-დან აგრესის მსხვერპლი. 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველი მიუთითებს რელიგიური შეუწყნარებლობის ნიშნით ჩადენილ დანაშაულებზე სამართალდამცავი ორგანოების

⁴⁴ იხ.: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> გვ. 145.

მიერ შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების საკითხის გაუმჯობესებაზე.⁶⁴ თუმცა, იქვე დასძენს, რომ იეპოვას მოწმეთა მხრიდან საგამოძიებო უწყებების მიმართ კრიტიკა არსებობს გამოძიების ობიექტურად წარმართვასა და გაჭიანურების თაობაზე. კერძოდ, ბრალდებულად/დაზარალებულად ცნობისა და საბოლოო/შემაჯამებელი გადაწყვეტილებების მიღების ვადებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პოზიციას იზიარებს სახალხო დამცველიც.⁶⁵ გარდა ამისა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი გარკვეულ შემთხვევებში მიუთითებს იეპოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილ დაწამულებთან მიმართებით სასამართლოს მიერ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას, გარკვეულ ლოიალურ მოპყრობაზე, რამაც შესაძლოა გაზარდოს რეციდივის ალბათობა.

2016 წლის 18 ივლისს, ქ. თბილისში, ე. წ. ალექსანდროვის ბაღში, ორი ქალბატონი ქადაგებდა თავიანთი აღმსარებლობის – სარწმუნოება „იეპოვას მოწმეს“ შესახებ, რა დროსაც გამვლელმა, რელიგიური შეუწყნარებლობის მოტივით მათ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულებმა განმარტეს, რომ ქადაგების დროს გააჩირეს ერთ-ერთი გამვლელი ქალბატონი და სთხოვეს მათთვის მოესმინა. ამ სიტყვების გაგონებაზე, ბრალდებული გახდა აგრესიული. დაზარალებულებს მოიხსენიებდა „ქუჩის ქალებად და იეპოველებად“. ამასთან, ადგილი ჰქონდა ფიზიკურ ძალადობასაც, კერძოდ, ბრალდებული იეპოვას მოწმეებს სცემდა სახის არეში და ფეხებს ურტყამდა წვივებში. გარდა ამისა, ერთ-ერთ დაზარალებულს შემოახია პერანგიც.

სასამართლოს წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც დასტურდებოდა, რომ პირადი შემოწმებისას, ერთ-ერთი დაზარალებულის სხეულზე არსებული დაზიანებები სისხლნაზღენთების სახით, განვითარებული იყო რაიმე მკვრივი, ბლაგვი საგნის ზემოქმედებით და მიეკუთვნებოდა დაზიანებათა მსუბუქ ხარისხს, რასაც შედეგად ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია. ხანდაზმულობით არ ენინააღმდეგება საქმის გარემოებებში მითითებულ თარიღს. ამასთან, სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაიკითხა თბილისის მერიის უსაფრთხოების სამსახურის დაცვის თანამშრომელი, რომელიც მართალია, უშუალოდ არ გამ-

⁶⁴ იხ.: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> გვ. 147.

ხდარა ჩხუბის თვითმხილველი, თუმცა მან გაიგო ქალების ხმა-მაღალი საუბარი. იგი მივიდა მათთან და მოუწოდა ბრალდებულს და ორ ქალბატონს დამშვიდებისკენ. გარდა ამისა, მან დანახა, რომ ერთ-ერთ ქალბატონს ჩამოხეული ჰქონდა მაისური. მოწ-მის განმარტებით მან დარეკა საპატრულო პოლიციაში და იქვე აღნიშნა, რომ ბრალდებულმა თქვა თავისი სახელი, სამუშაო ად-გილი და „თუ ვინმეს საქმე ჰქონდა, იქ მისულიყო“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასა-მართლომ ბრალდებული ცნო დამნაშავედ სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში – ადამიანის დევნა აღმსარებლობისა და რწმენის გა-მო და მის რელიგიურ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ჩადენი-ლი ძალადობით და ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განუ-საზღვრა ჯარიმა 2000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.⁶⁶ (თბი-ლისის სააგელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა პირველი ინ-სტანციის გადაწყვეტილება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინ-დისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამისის გამო, ანდა მის პო-ლიტიკურ, საზოგადოებრივ, პროფესიულ, რელიგიურ ან მეცნიე-რულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, დანაშაულია და ისჯება სისხლის სამართლის წესით. ამ ტიპის დანაშაულის თვალსაჩინო მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ 2016 წლის ინციდენტი – ტელე-კომპანია „ტაბულას“ უურნალისტებზე თავდასხმა. განსახილველი საქმე საინტერესოა, მით უფრო, რომ სასამართლო დეტალურად შეეხო როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ისე ყველა იმ სადავო შეფასებას, რომლებიც ბრალდებისა და დაცვის მხარე-ების მიერ იქნა გაულერებული სასამართლო სხდომაზე. ზოგადად, სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედება სილრმისეულად განმარ-ტა სამართლებრივ ჭრილში:

წინამდებარე საქმეში დადგენილ იქნა, რომ თბილისის ერთ-ერთ რეტორანში უცნობი პირები თავს დაესხნენ ტელეკომპანია „ტა-ბულას“ მოქმედ და ყოფილ უურნალისტებს, იმის გამო, რომ ბრალდებულებისთვის მიუღებელი იყო აღნიშნული ტელეკომ-პანის უურნალისტების მიერ შექმნილი გადაცემები რელიგი-ურ თემებზე, მათ მიერ გამოხატული აზრი და შეხედულებები მართმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში.

⁶⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 იანვრის განაჩენი, საქმეზე №1/3957-16.

თავდამსხმელები ჯგუფურად მიიჭრნენ უურნალისტების მაგიდასთან (პირად სიცრცეში) და მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სწორედ მათ მიერ რელიგიასთან დაკავშირებით გამოხატული განსხვავებული აზრისა და ზოგადად, მათი პროფესიული საქმიანობის გამო. უწოდებდნენ „ტაბულას რუპორებს“ და „რელიგიის შემარცხვენლებს“. იმავდროულად, ადგილი ჰქონდა მუქარასაც.

დანაშაულებრივი ქმედების ცალკეულ სამართლებრივ ასპექტების განხილვამდე უნდა ითქვას, რომ სასამართლომ სამი ბრალდებულიდან ერთი გაამართლა ნარდგენილ ბრალდებაში, ხოლო ორი დამნაშავედ ცნო სსკ-ის 27.156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.⁶⁷

თავდაპირველად, სასამართლომ განმარტა, რომ „თავად ბრალდებულებიც, დაზარალებულების მსგავსად, იგივე მოცულობით სარგებლობენ და მინიჭებული აქვთ კონსტიტუციით გარანტირებული უფლებები, მათ შორის – სიტყვისა და აზრის გამოხატვის ნაწილში, თუმცა, შესაბამის ადგილას და დროს და არა ყველგან და ყოველთვის – სხვის პირად სივრცეში და არასასურველ დროს და რაც მთავარია, არა ამგვარად – აგრესიულად, ძალადობით და მუქარით. მიუხედავად იმისა, რომ რესტორანი არის საზოგადოების თავშეყრის სივრცე, ეს არ არის დებატების ან „პროტესტის“ დაფიქსირების ადგილი. დაგას არ იწვევს ის გარემოებაც, რომ რესტორნის თითოეული მაგიდა „შლის“ საზოგადოებას ცალკეულ ჯგუფებად – პირად სივრცეებად, სადაც თავის მხრივ, გაერთიანებულია კონკრეტული ადამიანთა ვიწრო წრე, კონკრეტული მიზნით – გასართობად, სავახშმოდ და ა. შ. მოცემულ შემთხვევაში დაზარალებულთა ჩვენებებით დგინდება, რომ ისინი შეკრებილი იყვნენ სავახშმოდ და სასაუბროდ ზოგად თემებზე და არა სამსახურებრივ, პოლიტიკურ ან/და რელიგიურ გადაცემებთან დაკავშირებით, მით უფრო არ იყვნენ შეკრებილი უცნობი ადამიანების აგრესიული კრიტიკის მოსასმენად“.

⁶⁷ სასამართლომ მიიჩნია, რომ ერთმა ბრალდებულმა ჩაიდინა ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის გამო და მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ჯგუფურად და ძალადობის მუქარით, ხოლო მეორე ბრალდებულმა ჩაიდინა ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის გამო და მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით, ჩადენილი ჯგუფურად, ძალადობით და ძალადობის მუქარით. ორივე ბრალდებულის მიმართ ძირითადი საჯელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა.

სასამართლომ ასევე განმარტა, რომ „ჯგუფურად ჩადენილი ადამიანის დევნა მოიცავს ჯგუფური დანაშაულის ყველა სახეს – წინასწარ შეუთანხმებელი, წინასწარ შეთანხმებული და ორგანიზებული ჯგუფი. ჯგუფურ დანაშაულთან გვაქვს საქმე, როდესაც ორი ან მეტი ამსრულებელი სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის ამ დანაშაულის თანაამსრულებლად. სსკ-ის 27-ე მუხლის პირველი ნაწილით დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი. განსახილველ შემთხვევაში კი დადგენილია, რომ ორი თავდამსხმელი ერთდროულად გამოხატავდა კრიტიკულ მოსაზრებებს აგრესიულად და მუქარით, ხოლო მათგან ერთ-ერთი ასევე, ძალადობით. მათი ქმედებები მიმართული იყო უურნალისტების განსხვავებული აზრის დევნისკენ. სასამართლო აღნიშნავს, რომ დანაშაულის შეფასებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დაზარალებულთა ჩვენებებს, რადგან შესაძლოა ქმედების თითოეული მონაწილე მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არ აფასებს, როგორც დევნას, მაგრამ აღნიშნულ შეფასებაში დიდი წილი მოდის სწორედ დაზარალებულის აღქმაზე, რომელიც კომპლექსურად აფასებს ყველა მონაწილის მიერ მის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს ერთობლიობაში, სწორედ დაზარალებულის მიერ სდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, რომ მას დევნიან სიტყვის და აზრის გამო“.

გარდა ამისა, სასამართლო შეეხო დაცვის მხარის არგუმენტაციას, რომ ქმედების დევნად შეფასებისათვის სახეზე უნდა იყოს დროში განგრძობადი მოქმედებები. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმადაც ერთჯერადი დანაშაულებრივი აქტის სსკ-ის 156-ე მუხლით დაკავალიფიცირება სასამართლოს მიერ სრულად იქნა გაზიარებული. განსახილველი დანაშაულის ჩადენისას საკმარისია ერთჯერადი მოქმედება და არ არის აუცილებელი ადგილი ჰქონდეს მრავალჯერად ქმედებას.

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული დანაშაულის ძალადობით კვალიფიკირისას მნიშვნელოვანია ბრალდებულების მოქმედებათა ჯაჭვი, დაზარალებულის აღქმა და შედეგი. „მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც ბრალდებულები ერთობლივად მივიდნენ დაზარალებულების მაგიდასთან, თ. თ-მ აგრესიულად და მუქარის ფონზე მოითხოვა, უურნალისტებს შეეწყვიტათ თავიანთ გადაცემაში კონკრეტული მოსაზრებების დაფიქსირება, ხოლო შ.გ-მ

ხელი დაარტყა ერთ-ერთ დაზარალებულს“.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის მოსაზრება, რომ პრალ-დებულები უნდა გამართლებულიყვნენ წარდგენილ ბრალდებაში, რადგან მათი მხრიდან ადგილი არ ჰქონდა უურნალისტური საქმიანობიდან გამომდინარე დევნას, იმ ფაქტზე მითითებით, რომ დაზარალებულები კონკრეტულ ვითარებაში არ ახორციელებდნენ უურნალისტურ საქმიანობას. აღნიშნულთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ „მოცემული ქმედების კვალიფიკაციისათვის არ არის აუცილებელი დევნა განხორციელდეს უმუალოდ სამსახურებრივი საქმიანობის განხორციელებისას და მის პროცესში, ბრალდებულებმა კი დაადასტურეს, რომ უურნალისტების რესტორანში შესვლისას თ. თ-მ მეგობრებს უთხრა, თუ ვინ იყვნენ ისინი, ხოლო მოვინანებით, ბრალდებულები მართლაც მივიდნენ უურნალისტებთან და მათ პირად სივრცეში თაგს ახვევდნენ საკუთარ მოსაზრებებს, მოუწოდებულენ შეეწყვიტათ პროფესიულ მოღვაწეობისას თავიანთი აზრის და სიტყვის დაფიქსირება, მიაყენეს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა სწორედ მათ მიერ რელიგიასთან დაკავშირებით გამოხატული განსხვავებული აზრისა და ზოგადად, მათი პროფესიული საქმიანობის გამო. თ. თ-მ და შ. გ-მ მათ დაურღვეს მყუფროება, არ მისცეს მშვიდად ყოფნის საშუალება, გამოხატავდნენ აგრესიას, იმავდროულად, ემუქრებოდნენ ცემითა და ფიზიკური ანგარიშსწორებით, ასევე უთხრეს, რომ შემდგომშიც მათი მხრიდან გამოხატული აზრისა თუ სიტყვის გამო, ნებისმიერ ადგილას დახვდებოდნენ. შესაბამისად, მათი ქმედებით დაირღვა დაზარალებულების კონსტიტუციით გარანტირებული სიტყვისა და აზრის გამოხატვის უფლება“.⁶⁸

განსახილველი თავის ბოლოს საინტერესო ინფორმაციას შევეხებით. კერძოდ, ევროპის არაერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს მკრეხელობის, რელიგიური გრძნობების ან კულტის შეურაცხყოფის დასჯას. მაგალითად, ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსით, პირი, რომელიც შებძლალავს რომელიმე რელიგიური აღმსარებლობის მიმდევრების გრძნობებს, საჯაროდ დაამცირებს მათ დოგმებს, რჩენას, რიტუალებს ან ცერემონიებს სიტყვიერად ან წერილობით. ასევე, ვინც საჯაროდ შეურაცხყოფას მიაყენებს ამ აღმსარებლობის მიმდევარ პირებს, დაისჯება ჯარიმით. სას-

⁶⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 6 მარტის განჩინება საქმეზე №1/866-16. პირველი ინსატრუქციის გადაწყვეტილება თბილისის სააპელაციო სასამართლომ უცვლელად დატოვა (2019 წლის 30 იანვრის განაჩენი საქმეზე №13/411-18).

ჯელის იგივე ზომა გამოიყენება იმ პირთა მიმართაც, რომლებიც სა-ჯაროდ, ვერბალურად ან წერილობით დაამცირებენ ნებისმიერ ადა-მიანს, რომელიც არც ერთი რელიგიის მიმდევარი არ არის.⁶⁹ ასევე, იტალიის სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება ღვთის გმობა (რომელ რელიგიასაც უნდა ეხებოდეს იგი), სასულიერო პირების შე-ურაცხყოფა მათი რელიგიური მოწოდებებიდან გამომდინარე, სა-კულტო ნივთების შეურაცხყოფა, რელიგიური ცერემონიებისათვის ხელის შეშლა.⁷⁰ მსგავსი დებულებები იკითხება სხვადასხვა ქვეყ-ნის კანონმდებლობაში: ერმანია, დანია, პოლონეთი, ფინეთი, სა-ბერძნეთი და ა.შ. 2018 წელს, საქართველოს პარლამენტში შევიდა საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც „რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფისათვის“ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. კანონპროექტის განმარტებით ბარათში პირდა-პირ იყო მითითებული, რომ მისი მიღება საქართველოს მართლმა-დიდებელი ეკლესიის, ასევე, ქვეყანაში არსებული სხვადასხვა „ტრა-დიციული“ რელიგიის მიმართ ბოლო დროს გახშირებული ფარული თუ პირდაპირი შეურაცხყოფით იყო განპირობებული. ადამიანის უფ-ლებათა დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა იდეის დონეზე მხარი დაუჭირა კანონპროექტს, თუმცა საკითხის განხილ-ვა შეწყდა მას შემდეგ, რაც ინიციატივას სახალხო დამცველთან არ-სებული რელიგიათა საბჭოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან კრიტიკული რეაქცია მოჰყვა. 2018 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც, სახალხო დამცველი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იგი იმედს გამოთქვამს, რომ საქანონმდებლო ორგანო მსგავს კანონ-პროექტს მხარს არც მომავალში დაუჭირს.⁷¹

ამავდროულად უნდა ითქვას, რომ თუ შედარებით იოლია განისაზ-ღვროს, რა არის რელიგიური დაპირისპირება ან ძალადობა, არ არ-სებობს სტანდარტი იმის შესახებ, თუ რა შეიძლება ზოგადად, იყოს მკრეხელობა ან რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა. თითოე-ულ საზოგადოებაში ამ საკითხების თავისებური ხედვა და გაგება არსებობს. ამიტომ არის, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სა-სამართლო ამგვარი დავების განხილვისას, კულტურული რელატი-ვიზმით ხელმძღვანელობს და უშვებს, რომ ერთ ქვეყანაში შეუ-რაცხმყოფლად მიჩნეული გამოთქმა ან ნაშრომი შეიძლება უხამს, თუმცა მოსათმენ ხუმრობად ჩაითვალოს სხვა ქვეყანაში. ამასთან,

⁶⁹ იხ.: https://www.legislationline.org/download/id/6443/file/Spain_CC_am2013_en.pdf 525-ე მუხლი.

⁷⁰ იხ.: http://www.fes-caucasus.org/fileadmin/Publications/2017/hate_speech.pdf

⁷¹ იხ.: <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019042620571319466.pdf> გვ. 145.

სტრასბურგის სასამართლომ საქმეზე ოფო პრემინგერის ინსტიტუტი აცსტრიის წინააღმდეგ, აღნიშნა, რომ ძნელია საერთო ევროპული სტანდარტის დადგენა იმის განსასაზღვრად, თუ სად უდევს აზრის გამოხატვის თავისუფლებას ზღვარი, როცა საქმე რელიგიური ხასიათის შეურაცხყოფას ეხება. ამის გამო, რელიგიურ შეურაცხყოფასთან დაკავშირებულ საქმეებში ევროპული სასამართლო ყოველთვის ეროვნულ სასამართლოებს უტოვებს მიხედულების საქმაოდ ფართო არეალს, რათა მათ საკუთარი ქვეყნის თავისებურებებიდან გამომდინარე დაადგინონ, თუ სად გადის ეს ზღვარი და რას მოითხოვს საზოგადოებრივი ინტერესის. თუ ეროვნული სასამართლოების მიერ საქმე სათანადო სერიოზულობით არის განხილული და მათი გადაწყვეტილებები საკმარისად არის დასაბუთებული, ევროპული სასამართლო, როგორც წესი, „ენდობა“ ამ გადაწყვეტილებაში მოტანილ შეფასებებს და იზიარებს მის მოტივებს, რომლებაც უნდა იყოს „შესაბამისი (რელევნატური) და საკმარისი“. თუმცა, არც მიხედულების ეს არეალია უსაზღვრო, რადგან აზრის გამოხატვის თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვის ფაქტი ევროპული სასამართლოს მხრიდან მკაცრ კონტროლს ექვემდებარება.⁷²

ნებისმიერ შემთხვევაში, რელიგიური შეურაცხყოფა დადგება გამოხატვის თავისუფლების პირისპირ. ფაქტია, ამ მხრივ, ევროსასამართლოს პრაქტიკა ერთგვაროვანი არ არის, რადგან გადაწყვეტილებები რიგ შემთხვევაში გამოხატვის თავისუფლების, ხოლო რიგ შემთხვევაში, რელიგიური გრძნობების დაცვის სასარგებლოდ გამოდის. მაგალითად, ადმიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა საქმე ი. ა. თურქეთის წინააღმდეგ,⁷³ სადაც მომჩინენი გაასამართლეს ღვთისგმობისათვის, მას შემდეგ, რაც მომჩინენის საგამომცემლო სახლმა გამოსცა წიგნი, რომელიც განიხილავდა ფილოსოფიურ და თეოლოგიურ საკითხებს. ავტორი რწმენას, ისლამს და იმამებს აკრიტიკებდა. ის აცხადებდა, რომ ნებისმიერი რწმენა არის დადგმა; რომ ღმერთი, რომლის რწმენასაც ხალხს აიძულებენ ტვინების გამორეცხვის გზით, არც ერთხელ არ გამოვიდა სცენაზე საკუთარი არსებობის დასამტკიცებლად; და რომ, ეს ყველაფერი

⁷² წულიკიანი თ., „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რელიგიის თავისუფლება“, იხ.: <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=285>

⁷³ ი. ა. თურქეთის წინააღმდეგ (I. A. v. Turkey), №42571/98), 13 სექტემბერი, 2005, იხ.: ფილიპ ლიჩი – როგორ მივმართოთ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, 2013, გვ. 434 და ასევე, წულიკიანი თ., „აზრის გამოხატვის თავისუფლება და რელიგიის თავისუფლება“, იხ.: <http://tolerantoba.ge/index.php?id=1281619775&kat=285>

იმამებს ფიქრის უნარს უკარგავდა და მათ ერთ უბრალო თივის გორად აქცევდა. თავდაპირველად, ევროპულმა სასამართლომ მის მიერვე ოტო პრემინგერის ინსტიტუტის საქმეში დადგენილი პრინციპები მოიხმო და თქვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში არსებობს რელიგიის თავისუფლების საწინააღმდეგო ინფორმაციისა და იდეების გავრცელების შეზღუდვის აუცილებლობა. თუმცა, მან იქვე დასაინა, რომ ეს შეზღუდვა „იმპერატიული საზოგადოებრივი საჭიროებით“ უნდა იყოს განპირობებული და მასსა და მისაღწევ მიზანს შორის თანაზომიერება უნდა იყოს დაცული. ამასთან, დემოკრატია პლურალიზმზე, შემწყნარებლობასა და მოვლენათა ფართო ხედვის უნარზე დამყარებული საზოგადოების არსებობას გულისხმობს და ევროპული მოსამართლეების აზრით, ნებისმიერი რელიგიის მიმდევარი მისი აღმსარებლობის მიმართ გამოთქმული კრიტიკისათვის მზად უნდა იყოს. ნებისმიერ მორნმუნეს უნდა შეეძლოს შეიწყნაროს სხვა ინდივიდის მიერ მისი რელიგიის უარყოფა და თუნდაც მისი რწმენის საპირისპირო რელიგიის ქადაგება. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, მორნმუნისათვის უბრალოდ შემაცხუნებელ, შემანუჩებელ ან აღმაშფოთებელ აზრებს არ ეხებოდა საქმე. ევროპული სასამართლოს აზრით, სადაც წიგნში არსებული ფრაზები წინასწარმეტყველი მუჰამედის უსარგებლო და უსაფუძვლო შეურაცხყოფას შეიცავდა. განსაჯუთორებით კი ის პასაუი, სადაც ავტორი აცხადებდა, რომ „მუჰამედს შთაგონებები ხშირად აიშეს მელავებში, სექსუალური აღტკინების დროს მოსდიოდა, რომ ის მარხვას არღვევდა სექსუალური კავშირის დამყარების მიზნით და რომ იგი არ კრძალავდა ამგვარ კავშირს მევდარ ადამიანთან ან ცოცხალ ცხოველთან“. სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, თურქული საზოგადოება საერო საზოგადოებას წარმოადგენდა, მაგრამ მასში ძლიერი იყო ისლამის თაყვანისცემა და სადაც ფრაზები შეურაცხყოფელი შეიძლებოდა ყოფილიყო მორნმუნეთათვის. შესაბამისად, თურქული სასამართლოების გადაწყვეტილებები „იმპერატიული საზოგადოებრივი საჭიროებით“ იყო გამოწყველი და გამომცემლის წინააღმდეგ გამოტანილი განაჩენი მართებულად ჩაითვალა. რაც შეეხება სასჯელის თანაზომიერებას, ევროპულმა სასამართლომ გადამწყვეტი მნიშვნელობა მიანიჭა იმ ფაქტს, რომ წიგნი არ ყოფილა აკრძალული და მომჩინანს მხოლოდ უმნიშვნელო ჯარიმა მიესაჯა. საბოლოოდ, განსახილველ საქმეში, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ოთხი ხმით სამის წინააღმდეგ დაადგინა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ დარღვეულა, რადგან წიგნი შეიცავდა სალანდავ და შეურაცხმულებულ თავდასხმებს მუსლიმებისათვის წმინდა საკითხებზე. განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლებმა ჩათვალეს, რომ მსგავს გადაწყვეტილებებს გამომცემლობაზე მსუს-

ხავი ეფექტი შეიძლებოდა – გამომცემლობები თვითცენზურის მსხვერპლი შეიძლება გამხდარიყვნენ და ხელი აეღოთ არაკონფორმისტული და პოლიტიკურად თუ რელიგიურად დაუშვებელი აზრების შემცველი ნაშრომების გამოქვეყნებაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მე-10 მუხლის დარღვევა დაადგინა საქმეზე გინიერსკი საფრანგეთის წინააღმდეგ⁷⁴ და მიიჩნია, რომ რელიგიის თავისუფლება მოცემულ შემთხვევაში არ იბლალებოდა მომჩინენის მიერ გაზრითში გამოქვეყნებული სადაცო სტატიით, რომელშიც გაკრიტიკებული იყო პარი ევროპულმა სასამართლომ ჩათვალა, რომ საგაზითო სტატიაში გამოყენებული გამონათქვამები არ წარმოადგენდა რელიგიური მრნამსის შეურაცხყოფას ან მასზე თავდასხმას, არ იყო დაშორებული თანამედროვე საზოგადოებისთვის დამახასიათებელი აზრისგან, არ ქადაგებდა სიძულვილს ან ძალადობას და ეჭვეშ არ აყენებდა ან არ აკინებდა რომელიმე ისტორიულად დადგენილ ფაქტს.⁷⁵

განსახილველი თემის ბოლოს უნდა ითქვას, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ჯერ კიდევ, 1996 წელს მიღებულ გადაწყვეტილებაში (ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ⁷⁶) აღნიშნა, რომ არაერთი მყარი არგუმენტი არსებობდა მკრეხელობის შესახებ კანონების გაუქმების სასარგებლოდ. მათ შორის, მოხსენიებული იყო სამართლებრივი მექანიზმების უუნარობა, სათანადოდ დაერეგულირებინა ინდივიდუალური რწმენის საკითხები და ასევე, ის გარემოება, რომ აღნიშნულ კანონებს შესაძლოა გამოეწვია დისკრიმინაცია სხვადასხვა რჩმენის ადამიანების მიმართ. თუმცა, სასამართლომ იქვე დასძინა, რომ ევროპის ქვეყნებში ჯერ კიდევ, არ არსებობდა ერთიანი სამართლებრივი და სოციალური კონსესუსი, რომელიც გვაფიქრებინებდა, რომ მკრეხელობის აღკვეთა აღარ იყო საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ მოტანილ ო. ა-ს საქმეში უმცირესობაში მყოფი მოსამართლების შეხედულებას, არ არის გამორიცხული მომავალში ევროპული სასამართლო მართლაც დაადგეს ოტო პრემინისტრის ინსტიტუტის, ვინგროვსა და მსგავსი პრეცედენტების გადახედვის გზას, აზრის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ.

⁷⁴ გინიევსკი საფრანგეთის წინააღმდე (Giniewski v. France), 164016/00, 13 იანვარი, 2006.

⁷⁵ იქვე. გვ. 51-52.

⁷⁶ ვინგროვი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Wingrove v. The United Kingdom), №17419/90, 25 ნოემბერი, 1996, გვ. 57.

სიძულვილით მოთივირებული დანაშაულები

ოჯახში ქალადობა, ოჯახური დანაშაულები და ქალთა მიმართ ქალადობის შემთხვევი

საქართველოში, ოჯახში ქალადობა და ქალთა მიმართ ქალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ქალადობის ფორმებია, რომელიც მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას, განურჩევლად კლასობრივი, რასობრივი, კულტურული, რელიგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა.

ოჯახში ქალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ქალადობის შესახებ საქმეებზე დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის აუცილებელი წინაპირობაა.

კერძოდ, საქართველოში ქალთა მიმართ ქალადობა გავრცელებული ფენომენია. დანაშაულის მოტივად გენდერული ნიშნის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია შეფასდეს, ქმედებაში იყვეთება თუ არა გენ-დერული დისკრიმინაცია, ქალის ქცევის კონტროლი, მის მიმართ მე-საკუთრული დამოკიდებულება ან სხვა სახის გენდერული ქალადობა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ქალის გენდერულ როლზე არსებული სტერეოტიპული შეხედულებებითა და პატრიარქალური დამოკიდებულებით. გენდერული სტერეოტიპის ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებული შეფასება და მათი მსგავსი ქცევის არათანაზომიერად გაკიცხვა. გენდერული სტერეოტიპები შეიძლება დაყოს შემდეგ კატეგორიებად:⁷⁷

• სქესობრივი სტერეოტიპები	ზოგადი შეხედულება ქალისა და მამაკაცის ფიზიკური, მათ შორის, ბიოლოგიური, ემოციური მახასიათებლებისა და შემცირებითი შესაძლებლობების შესახებ
• სექსუალური ხასიათის სტერეოტიპები	ზოგადი შეხედულება ქალისა და მამაკაცის სექსუალურ თავისებურებებთან დაკავშირებით
• სქესის ნიშნით როლების სტერეოტიპები	შეხედულება მამაკაცისა და ქალის როლებთან დაკავშირებით

⁷⁷ იხ.: <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/kvleva-ojaxshi-zaladobaze.pdf>
გვ. 45.

თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოტანილია სასამართლო პრაქტიკიდან ერთ-ერთი საქმე:

თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე,⁷⁸ სადას ფაქტებისა და მტკიცებულებების ერთიანი ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა დანაშაულის მოტივი, გენდერული ნიშნით შეუწყნარებლობა და დისკრიმინაცია. კერძოდ, ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარებით, დაზარალებულისა და სხვა მოწმეთა ჩვენებებით დადგინდა, რომ მოძალადე (ქმარი) მსხვერპლს (ცოლს) სისტემატურად აყვენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, ეჭვიანობდა, ყველა ნაცნობ მამაკაცს უწოდებდა მის საყვარელს, უზღუდავდა სახლიდან თავისუფლად გასვლას, უკონტროლებდა მის გარეშე გატარებულ დროს, უზღუდავდა და უკრძალავდა მეგობრებთან შეხვედრას, არ აძლევდა ტანისამოსის თავისუფლად შერჩევისა და ჩაცმის სამუალებას, უუბნებოდა, რომ იყო მისი ცოლი, მდედრობითი სქესის წარმომადგენელი, უუფლებო და მას უსიტყვოდ უნდა დამორჩილებოდა. ამასთან, უკონტროლებდა სოციალურ ქსელს, არ აძლევდა გადაწყვეტილებების მისი სურვილისამებრ მიღების შესაძლებლობას. მუდმივად ემუქრებოდა მოკვლითა და სხეულის დაზიანებით.

სასამართლოს შეფასებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გამოიკვეთა ბრალდებულის დამოკიდებულება ოჯახის წევრი ქალის მიმართ. კერძოდ, იგი მსხვერპლს სოციალური იერარქიით თავისზე დაბლა მდგომ უუფლებო სუბიექტად განიხილავდა, რომლის ცხოვრების წესის, ჩაცმის, ქცევისა და ზოგადად, ცხოვრების მიმართულების და ინტერესის განსაზღვრა, მხოლოდ მას, როგორც ქმარს შეეძლო, სწორედ ამით არის განპირობებული მისი დაუკებელი სურვილი აკონტროლოს მეუღლე, განუსაზღვროს ცხოვრების პრიორიტეტები, დაუწესოს სოციალური და ყოფითი შეზღუდვები. გარდა ამისა, სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ დანაშაულის მოტივი მიუთითებს მოძალადის განსაკუთრებულ საშიშროებაზე ოჯახის წევრი ქალი-მეუღლის მიმართ, ბრალდებულის მცდარი სტერეოტიპული განწყობები წარმოადგენს სამომავლო საფრთხეებს ოჯახში ძალადობის გაგრძელების კუთხით.

განსახილველ საქმეში, სასამართლომ სასჯელის კონკრეტული სახისა და ზომის განსაზღვრისას, გარდა დანაშაულის მოტივი-

⁷⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 3 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/2005-19.

სა, ყურადღება გაამახვილა ჩადენილი დანაშაულის სიმრავლეზე, ინტენსივობასა და ხერხზე. კერძოდ, დროის მცირე ინტერვალში ჩადენილია სამი მუხლით გათვალისწინებული განზრახი დანაშაული, ბრალდებულის მხრიდან მსხვერპლის მიმართ განხორციელებულ ქმედებებს ჰქონდა არაერთჯერადი ხასიათი. მოძალადე ხშირ შემთხვევაში, ოჯახურ ძალადობას ჩადიოდა არასრულნოვანი შვილების თანდასწრებით, რამაც შესაძლოა სავალალო ზემოქმედება იქონიოს ბავშვების ფსიქიკასა და შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, უნგრევს მათ სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.

სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მხარის შუამდგომლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის ან პირობითი მსჯავრის გამოყენების შესახებ და განმარტა, რომ განსახილველი საქმე არის სწორედ ის შემთხვევა, როდესაც ნაკლებად მყაცრი სახის სასჯელი ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნის განხორციელებას პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოებებიდან გამომდინარე. გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა დაცვის მხარის არგუმენტაციაზე, თითქოსდა ბრალდებულის მხრიდან შემაკავებელი ორდერით გათვალისწინებული ვალდებულებების დაურღვევლობა წარმოადგენდა მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას. სასამართლოს შეფასებით კი, სწორედ შემაკავებელი ორდერის გამოცემის აუცილებლობა ბრალდებულის პიროვნებიდან გამომდინარე წარმოადგენს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებას. ასევე ის არგუმენტი, რომ ბრალდებულს ჰყავს სამი არასრულნოვანი შვილი, ვერ გახდება მსუბუქი სასჯელის განსაზღვრის საფუძველი, პირიქით დანაშაულის ჩადენა არასრულნოვანთა თანდასწრებით არის პირის პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოება და ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია შეფასდეს მოძალადის და დანაშაულის თვითმხილველი ბავშვების თანაცხოვრების საკითხი. აღნიშნულ შემთხვევაში, ბავშვების საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ აუცილებელი იყო მოძალადის დროებითი იზოლაცია და განრიდება ბავშვებისგან.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ საქმეში სახეზე იყო კუმულაციურად, როგორც შიდა კანონმდებლობით, ასევე „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ უვროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული რამდენიმე დამამდიმებელი გარემოება. კერძოდ, მოძალადის მიერ შეურაცხყოფა და დამცირება, ადევნება და მუ-

ქარა ჩადენილი მეუღლის მიმართ, რასაც ჰქონდა სისტემატური ხასიათი, დანაშაული ჩადენილი არასრულწლოვანი ბავშვების თანდასწრებით. მსხვერპლის მიმართ მუქარას წინ უსწრებდა უკიდურესად მაღალი დონის სისტემატური შეურაცხყოფა, დამცირება. მუდმივმა უკანონო თვალთვალმა მსხვერპლი იძულებული გახდა შეეცვალა ცხოვრების წესი, დანაშაულმა ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა დაზარალებულს.

დაბოლოს, სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ დასახელებული კონვენციის მიზნები მოითხოვს მოძალადე ისჯებოდეს ეფექტური და გადამარწმუნებელი გავლენის მქონე სანქციების საშუალებით, ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულის სერიოზულობის გათვალისწინებით. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლომ ბრალდებული ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა.

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს, დანაშაულის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესული დამოკიდებულება. ზემოთ მოტანილი მაგალითიდანაც ჩანს, რომ ხსენებული მოტივის გამოკვეთის მიზნით, ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომელიც დაზარალებულის რეპუტაციას ეჭვეშ აყენებს, აუგად იხსენიებს მის სქესს, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებსა და ტრადიციულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში და ა.შ. დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენა უნდა იქნას მიჩნეული პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, რათა სათანადოდ მოხდეს მსხვერპლის მიერ განცდილი ტანჯვის შეფასება.

ამგვარი ტიპის დანაშაულების სამართალწარმოების პროცესში იკვეთება გარკვეული სახის პრობლემები. კერძოდ, ცალკეულ შემთხვევებში, მსხვერპლი იყენებს მისთვის მინიჭებულ უფლებას და არ აძლევს ჩვენებას, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მის ახლო ნათესავს ან სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში ცვლის ჩვენებას მოძალადის სასარგებლოდ, რაც ხშირ შემთხვევაში სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი ხდება.⁷⁹ მაგრამ არ უნდა დაგვავინყდეს, რომ დაზარა-

⁷⁹ მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 აგვისტოს განაჩენი, საქმეზე №1/192-18 და 2018 წლის 25 ივნისის განაჩენი საქმეზე №1/860-18.

ლებულის ამგვარ ქმედებას შეიძლება ლოგიკური საფუძველი ჰქონდეს, მაგალითად: შიში ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; ბავშვების კეთილდღეობაზე ფიქრი; ძალადობის სისტემატურობიდან გამომდინარე, დაზარალებულის მიერ ძალადობის მსხვერპლად საკუთარი თავის აღქმის პრობლემა; ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ზენოლა – არ მისცეს ჩვენება; კულტურული თუ რელიგიური შეხედულებები, რომლითაც დაგმობილია და ოჯახიდან განდევნას იწვევს მეუღლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა; შერიგების შესაძლებლობა, ხოლო ჩვენებამ შესაძლებელია ცოლქმრულ ურთიერთობას საფრთხე შეუქმნას; მარტოობის შიში; ბრალდებულის მიმართ გრძნობა ან ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის შიში, ინფორმაციული ვაკუუმი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეორეული ვიქტიმიზაცია და სხვა.

ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივა, რომელიც წევრი ქვეყნებისთვის ადგენს ძალადობის მსხვერპლთა უფლებების, დაცვისა და მხარდაჭერის მინიმალურ სტანდარტებს. დირექტივის მიღების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა უზრუნველყო წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში დანაშაულის მსხვერპლის მინიმალური უფლებებით აღჭურვა, მათი ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა სასამართლო პროცესის დაწყებამდე. დირექტივის მიხედვით: დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე და მთელი სამართალწარმოების განმავლობაში; სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქოლოგიური ან ემოციური მხარდაჭერით; დაკითხვის ან ჩვენების მიცემის დროს არ უნდა მოხდეს (ან მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი) დაზარალებულისთვის ფსიქოლოგიური ან ემოციური ზიანის მიყენება, მისი ღირსება და უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული.⁸⁰

საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზენოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წევრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას. გარდა ამისა, შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გამოკვლეული მსხვერპლის მი-

⁸⁰ იხ.: <https://www.equalrightstrust.org/news/new-directive-rights-victims-crime-adopted-european-parliament>

ერ ჩვენების შეცვლა მოძალადის სასარგებლოდ ხომ არ იყო განპირობებული ბრალდებულის ან სხვა ოჯახის წევრის მხრიდან მუქარის გამო.

ფაქტია, რომ ძალადობის უმთავრესი მიზეზი არის პირის სურვილი, დომინირებდეს და კონტროლი განახორციელოს მასზე დამოკიდებულ (ან მის მიერ ასეთად მიჩნეულ) ადამიანებზე. ძალადობრივი გამოვლინებების რისკი გვხვდება სხვადასხვა გარემოში, მათ შორის, იმ პირთა მიმართ, რომელიც მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ან/და სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში. შესაბამისად, მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში, გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, მოხუცები და სხვა პირები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობას.

სამწუხაროდ, საქართველოში ხშირია ბავშვებზე ძალადობის ფაქტები. ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გამო, მათ არ აქვთ უნარი შეეკავონ მოძალადის მართლსაწინააღმდეგო ქცევა. ძირითადად, უფროსები ბავშვებისგან მოითხოვენ უსტყვო მორჩილებას და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მიმართავენ ძალადობის სხვადასხვა ფორმას.

გორის რაიონულმა სასამართლომ, მის მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში⁸¹ აღნიშნა, რომ დაზარალებული მისივე მამის უმოწყალო ძალადობის მსხვერპლი გახდა. „ბრალდებული რამდენიმე წუთის განმავლობაში, ხელის და ფეხის დარტყმით სცემდა არასრულწლოვან ქალიშვილს, რომელსაც ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გამო, არ ჰქონდა უნარი, შეეკავებინა მოძალადე მამის მართლსაწინააღმდეგო ქცევა“. განსახილება საქმეში სასამართლომ ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამიმებელ გარემოებად მიიჩნია – სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული ძალადობა არასრულწლოვანი ქალიშვილის მიმართ.

აღსანიშნავია, რომ ოჯახში ძალადობისას იტანჯებიან არა მხოლოდ ძალადობის უშუალო მსხვერპლი ბავშვები, არამედ ისინიც, რომელებიც ძალადობის თვითმხილველები არიან. რუსთავის საქალაქო სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში პირდაპირ მი-

⁸¹ ჩგორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განაჩენი საქმეზე №1/176-17.

უთითა, რომ „არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობა, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, მის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე სავალალო გავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ძალადობის უშუალო მსხვერპლს არ წარმოადგენს, ძალადობის მოწმედ ყოფნა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადამიანებს შორის, როგორიც მმობლება, უარყოფითად აისახება მის კეთილგანწყობაზე და მოწყვლადს ხდის აგრესიული ქცევების ათვისებისა და შემდგომში გამოვლინების მიმართ“.⁸²

როდესაც საქმე ეხება არასრულნლოვანს, ეს იქნება მსხვერპლი თუ მოწმე, სასამართლოებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, მით უფრო მაშინ, როდესაც აღიარებულია, რომ ოჯახში ძალადობა წევატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, უნგრევს მათ სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.

დაბოლოს, სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღმოფხვრა, გხვდება არაერთ საერთაშორისოსამართლებრივ აქტში. კერძოდ:

- გაეროს „ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის მე-5 მუხლი, კონკრეტულად განსაზღვრავს, რომ მონაცილე სახელმწიფოებმა სათანადო ღონისძიებების გატარებით უნდა: ა) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრურწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-ზესების და სხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა; ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავითო შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესი;
- გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი, 2017 წლის 14 ივლისის №35 ზოგად კომენტარში აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებებისგან ან ქალთა

⁸² რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი საქმეზე №1-466-17.

წინააღმდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის პრაქტიკისგან, გამოიყენონ სისხლის სამართლის შესაბამისი დებულებები ამგვარი ძალადობის დასასჯელად, უზრუნველყონ, რომ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით სამართლებრივი პროცედურები წარიმართოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, სამართლებრივი ნორმების გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული განმარტებების გარეშე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. კომიტეტის რეკომენდაციით (პარაგრაფი 44), ქალებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოსა და ტრიბუნალებისადმი ეფექტური ხელმისაწვდომობა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ საქმეებზე ადეკვატური რეაგირება, მათ შორის, სავარაუდო დამნაშავის სასამართლოში წარდგენის მიზნით, დანაშაულის გამოძიება, სადაც სამართლებრივი პროცედურები უნდა განხორციელდეს სამართლიანად, მიუკერძოებლად, დაჩქარებულ ვადებში, სათანადო სასჯელის შეფარდებით. ზოგადი რეკომენდაციის (პარაგრაფი 45) მიხედვით, გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე იმპერატიულად არ უნდა ვრცელდებოდეს დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებები (მაგალითად, მედიაცია). ამგვარი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობა უნდა იყოს მკაფიოდ რეგულირებული და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სპეციალიზებული გუნდის შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის/მსხვერპლის ინფორმირებულ და ნებაყოფლობით თანხმობას, როდესაც დაზარალებულის/მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრების უსაფრთხოების მიზნით, აღარ არსებობს სამომავლო რისკები. მნიშვნელოვანია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებამ ბარიერი არ უნდა შეუქმნას ქალებს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კუთხით და არ უნდა შეუწყოს ხელი მათ მეორეულ ვიქტიმიზაციას მართლმსაჯულების სისტემაში;

- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებს და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორუფლებისანობის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ქალებისათვის მეტი შესაძლებლობების მიცემის გზით. კონვენცია აქცენტს აკეთებს სახელელმწიფოს ვალდებულებაზე, უზრუნველყოს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღმოფხვრა. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ

ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასაწერგად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურნმენები, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულ-ფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის ფუნქციის სტერეო-ტიპულ წარმოდგენებს. სტამბოლის კონვენცია კრძალავს დავე-ბის მოგვარებასთან დაკავშირებულ სავალდებულო ალტერნა-ტიულ პროცესებს, მათ შორის, შუამავლობასა და მორიგებას (კონ-ვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალა-დობასთან მიმართებით). ასევე, წევრმა სახელმწიფოებში უნდა უზრუნველყონ, რომ ჯარიმის გადახდის შესახებ გადაწყვეტი-ლების გამოტანის შემთხვევაში, სათანადო იყოს გათვალისწი-ნებული დამნაშავის შესაძლებლობა, შეასარულოს თავისი ფი-ნანსური ვალდებულებები მსხვერპლის მიმართ.

ჰომი/ბი/ტრანსფორმი დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/ გენდერული იდენტობის საფუძველზე

საქართველოში, ბოლო წლებში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, ისე საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ მომზადებული ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფორმიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია.

ქვეყანაში არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ არაერთი შემთხვევა არსებობს ლგბტ+ თემის ნარმობადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობისა, დაწყებული ინდივიდებზე თავდასხმებით საჯარო ადგილებში და ზოგჯერ მათ სახლებშიც კი – დამთავრებული ლგბტ-ის ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენით. ფაქტია, რომ ლგბტ+ ადამიანები საქართველოში არიან ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყისარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი. ანგარიშის მომზადების პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებების მიხედვით, მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ძირითადად, ვლინდება ოჯახში და საჯარო სივრცეში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციისა და სოციალური გარიყვის სახით. ამასთან, საქმეებმა ცხადყო, რომ ხსირია ლგბტ+ პირებზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის ფაქტები. ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები საზოგადოებაში იმ გარენობით თუ სოციალური როლით ჩნდებიან, რომელიც მათ ბიოლოგიურ სქესს არ შეესაბამება. მაგალითად:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში⁸³ დადგენილ იქნა, რომ თბილისში, ვაგზლის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ორმა პირმა (ბრალდებულებმა) შეამჩნია ახალგაზრდა მამაკაცი (დაზარალებული), რომელსაც ჰქონდა გრძელი შეღებილი თმა და იქცეოდა გამომწვევად. ზემოაღნიშნულმა ორმა პირმა მიიჩნია, რომ ახალგაზრდა მამაკაცი იყო არატრადიციული ორიენტაციის მქონე პირი, რამაც გამოიწვია მათი გალიზიანება და ურთიერთშელაპარაკების ნია-

⁸³ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 3 სექტემბრის განაჩენი საქმეზე №1/2548-18.

დაგზე გ. ფ-ს მისი გენდერული იდენტობის მიმართ გამოვლენილი შეუწყინარებლობის მოტივით, სახისა და სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ხელის მრავალჯერადი დარტყმით მიაყენეს დაზიანებები.

განსახილველ საქმეში ბრალდებულების ქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა სსკ-ის 126-ე მუხლის 1¹ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. კერძოდ, აღნიშნული მუხლით კრიმინალიზებულია ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია, მაგრამ არ მოჰყოლია ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მისი ხანმოკლე მოშლით ან საერთო შრომისუნარიანობის უმნიშვნელო ან არამყარი დაკარგვა, ჩადენილი ჯგუფურად. აღნიშნული დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას ვადით 180-დან 240 საათამდე ანდა თავისუფლების აღკვეთას ვადით ორ წლამდე.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ბრალდებულების პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა მათი მხრიდან ჩადენილი დანაშაულის აღიარება და სინაზული. თუმცა იქვე დასძინა, რომ ამასთან, გასათვალისწინებულია ბრალდებულების პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოები. კერძოდ, დანაშაულებრივი ქმედება – ცემა ჩადენილი იქნა ჯგუფურად, გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყინარებლობის გამო, რაც გულისხმობს ადამიანის უთანასწორო, უსამართლო მოპყრობას. განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც ეს მიმართულია რაიმე ნიშნით განსხვავებული ადამიანის წინააღმდეგ, ამგვარი ქმედება კი მიუთითებს მოძალადების ხასიათზე, რომ „ისინი უუნარონი არიან კონტროლი გაუწიონ თავის რისხვას, რომელიც მიმართულია პიროვნების წინააღმდეგ, რომელიც რაიმე განსხვავებული ნიშნის მატარებელია, რაც მიუთითებს ბრალდებულების ხასიათსა და მათ არაკანონმორჩილებაზე. შესაბამისად, ამგვარი ფაქტორივი გარემოებების არსებობა ხაზს უსვამს ბრალდებულების მხრიდან შესაძლო ამგვარი დანაშაულის სამომავლოდ ჩადენას“.

სასამართლომ სასჯელის განსაზღვრისას განმარტა, რომ იმისათვის, რომ მოძალადე განიმსჭვალოს მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით, სამართლიანობის აღდგენის კუთხით ასევე, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ პირის მსჯავრდება ჩადენილი ქმედებისათვის, არამედ ამ ქმედებისათვის ადეკვატური სასჯელის განსაზღვრაც, რამაც უნდა დააფიქროს ბრალდებული ჩადენილი ქმედების ირგვლივ.

გარდა ამისა, აუცილებლად უნდა მოხდეს დაზარალებულის-თვის მიყენებული უფლებების დარღვევის კომპენსირება. შე-საბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ბრალდებულები ცნო დამნაშავედ და სასჯელის სახედ განუ-საზღვრა თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოში ხშირია ტრანსგენდერ სექსმუშაკთა მიმართ გან-ხორციელებული ძალადობრივი ფაქტები. ტრანსგენდერ ქალთა ნა-წილისთვის თვითგადარჩენის ერთადერთ წყაროდ იქცა სექსსამუ-შაო, რომელიც ძალადობას მათი ყოველდღიურობის ნაწილად აქ-ცევს. ისინი ერთი მხრივ, გენდერული იდენტობისა და მეორე მხრივ, მათი საქმიანობის გამო ორმაგ ჩაგვრას ექვემდებარებიან და მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ფსიქიკური მთლიანობა საფრთხის ქვეშ დგება.⁸⁴ მაგალითად:

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში⁸⁵ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ, ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ავტომობილით მყოფი პირი (ბრალდებული), სექსუალური ურთიერთობის და-სამყარებლად ნებაყოფლობით შეუთანხმდა ტრანსგენდერ ქალს, ჩაისვა იგი მანქანში და ნაცვლად შეთანხმებული ადგი-ლისა, წაიყვანა სხვა ტერიტორიაზე, რის შემდგომაც მან გენ-დერული იდენტობის გამო შეუწყნარებლობის მოტივით, სიტ-ყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას და სახრახნისის გამოყენე-ბით სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა. ტრანსგენდერ ქალს გა-უჩნდა მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში, მან მოა-სერხა მანქანიდან გადმოსვლა და სათებავლო ასასვლელით დაბრუნდა ცირკის მიმდებარე ტერიტორიაზე, თავის მეგობარ ტრანსგენდერ ქალებთან. ბრალდებული დაზარალებულს ფე-ხით, ხოლო შემდეგ თავისი ავტომანქანით გამოეკიდა და სამი-ვე ტრანსგენდერ ქალს ჯერ აგინა უშვერი სიტყვებით, ხოლო შემდეგ სახრახნისით ხელში გადმოვიდა მანქანიდან და იმავე მოტივით, მოკვლის მუქარით გაემართა მათკენ. ტრანსგენდერ-მა ქალებმა, გაუჩნდათ რა მუქარის განხორციელების საფუძ-ვლიანი შიში, გაქცევით უშველეს თავს.

⁸⁴ იხ.: <https://emcrights.files.wordpress.com/2016/11/e183a2e183a0e18390e1839ce183a1e18392e18394e1839ce18393e18394e1839ce18393e18390e1839be18398e18390e1839ce18394e18391e18398.pdf>

⁸⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 13 ივნისის განაჩენის საქმეზე №1/2249-19.

სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გენდერული იდენტობის შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილ დანაშაულებზე ადეკვატური რეაგირება იმდენად, რამდენადაც პომოფობიური და ტრანსფობიური განწყობები, სიძულვილის ენის გამოყენება, გენდერულ იდენტობასა და სექსუალურ ორიენტაციისთვის და კავშირებული უთანასწორობისა და უფლებადარღვევის ფაქტები კვლავ გამოწვევად რჩება საქართველოში, ტრანსგენდერი ადამიანები პრობლემებს აწყდებიან საზოგადოებრივი ცხოვრების არაერთ სფეროში და ცალკეულ შემთხვევებში, იძულებულნი არიან, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში წარმოჩნდნენ იმ გარემოებით, რომელიც არ შეესაბამება მათ გენდერულ თვითაღებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი შესაძლოა გახდნენ სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის ან მუქარის მსხვერპლი, როგორც ეს მოხდა განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში“.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოძალადისთვის ადეკვატური სასჯელის განსაზღვრის მიზანი არის ამ პრობლემის აღმოჩევრის გზა, ძალადობის მსხვერპლის დაცვა მოძალადისაგან და როგორც ბრალდებულზე, ისე სხვა პირებზე ზემოქმედებაც, რათა ისინი განიმსჭვალონ მართლწერიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.

სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი გარემოებები (დანაშაულის აღიარება და მონანიება), ისე დამამძიმებელი (დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა გენდერული იდენტობის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით) და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით და გამოსაცელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

აღსანიშნავია, რომ არსებობს სპეციალური დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდ ლგბტ ადამიანთა მიმართ ძალადობას ეხება და სახელმწიფოებს მოუწოდებს მისი დაძლევისათვის ქმედითი ნაბიჯების გადადგმისკენ. მაგალითად, ევროსაბჭოს რეკომენდაცია cme/rec (2010)⁵ მოიცავს მნიშვნელოვან დანაწესებს ლგბტ ჯგუფის დისკრიმინაციისა და ძალადობისაგან დაცვის შესახებ. რეკომენდაციაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფომ უნდა აღიაროს ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი და ტრანსგენდერი ადამიანებს ისტორიული დისკრიმინაცია, რომ ისინი მუდმივად ექვემდებარებოდნენ პომოფობიას, ტრანსფობიას, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის სხვა

ფორმებს, მათ შორის, საკუთარ ოჯახებში – კრიმინალიზების, მარგინალიზების, სოციალური ექსკლუზისა და ძალადობის კუთხით, მათი სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. შესაბამისად, სპეციფიკური მოქმედებები არის მისაღები იმისათვის, რომ მათი უფლებები სრულყოფილად იყოს დაცული.⁸⁶

განსაკუთრებით საყურადღებოა იმ არასრუნლოვანი ბავშვების ინტერესების დაცვა, რომლებიც თავს ლგბტ+ თემს მიაკუთვნებენ. პრაქტიკაში გვაქვს საქმეები, სადაც მათი უფლებები არსებითად ირღვევა ოჯახის წევრების მხრიდან. როგორც წესი, მშობლების მხრიდან ძალადობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ისინი შეიტყობენ არასრუნლოვნის რეალურ ან ნავარაუდევი ორიენტაციისა თუ გენდერული იდენტობის შესახებ ან თუ ჩხდება ეჭვი ბავშვის ქცევაში, რომელიც არ შეესაბამება სოციალურად ჩამოყალიბებულ გენდერულ ნორმებს. დაანაშაულები, რომელთაც ლგბტ+ ჯგუფის წევრები ოჯახის წევრების მხრიდან ექვემდებარებიან, მათი ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა თუ გენდერული გამოხატვის გამო, წარმოადგენს შეუწყნარებლობით ჩადენილ მართლსანინააღმდეგო ქმედებას. აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ ქვემოთ მოტანილია რესთავის საქალაქო სასამართლოს მიერგანხილული საქმე სადაც:

ბრალდებული სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არასრულნლოვან შვილს (ბიჭს) სისტემურად – თვეში სამჯერ აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, მიმართავდა უცენზურო სიტყვებით, ამცირებდა იმის გამო, რომ მას მოსწონდა მამაკაცები, ჰქონდა განსხვავებული შეხედულებები, იცვამდა ქალის სამოსს, იღებავდა თმას და გამოიყურებოდა როგორც ქალი.

კერძოდ, ზემოაღნიშნული მოტივით, 2019 წლის 10 მაისს, ბრალდებულმა შვილს აგინა, დაამცირა, უწოდა „ძუენა ქალი“, „პიდარასტი“, დასცინოდა მის სექსუალურ ორიენტაციას და გარეგნობას. აღნიშნულის შემდგომ, მამა მიუახლოვდა არასრულნლოვანს და დაარტყა გაშლილი ხელი ბეჭებში, რის გამოც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. გარდა ამისა, ბრალდებული შვილს დაემუქრა, რომ არ აცოცხლებდა, არ სურდა ჰყოლოდა მისნაირი „პიდარასტი“ შვილი, უთხრა – „მოგკლავ, თავს

⁸⁶ ob.: https://emc.org.ge/uploads/products/pdf/Domestic-violence-based-on-SOGI-final-2018_1544786801.pdf გვ. 9.

მოგაჭრიო“. აღნიშნული ქმედებით მსხვერპლს გაუჩინდა სიცოცხლის მოსპობის მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში.

განსახილველ საქმეში სასამართლომ გაითვალისწინა ბრალდებულის პასუხისმგებლობის, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება, რომ იგი აღიარებს ჩადენილ დანაშაულს, ისე დამამძიმებელი გარემოება – ოჯახური ძალადობა ჩადენილი სექსუალური ორიენტაციის ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით. გარდა ამისა, სასამართლომ დასძინა, რომ მუქარა განხორციელებულ იქნა ოჯახის ერთი წევრის მიერ ოჯახის სხვა წევრის მიმართ იმავე მოტივით. ამასთან, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის ნასამართლობის ფაქტი, რომლის მიხედვითაც კ. ფ. გასამართლებულია იმავე დაზარალებულზე ძალადობის გამო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ბრალდებული დამინაშავედ ცნო და სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით.⁸⁷

ლგბტ+ თემის წარმომადგენელ ადამიანთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ხშირად აპელირებენ სასამართლოების მხრიდან მოძალადების მიმართ შეფარდებულ ლმობიერ და ნაკლებად მკაცრ სანქციებთან დაკავშირებით, რაც ბადებს კითხვის ნიშნებს ძალადობის საქმეებზე მსხვერპლის მიერ განცდილი ტანჯვის არასათანადო შეფასებასთან დაკავშირებით. სამართლიანია აღნიშნოს, რომ ცალკეულ შემთხვევებში, მოძალადები მათ მიმართ წარსულში არსებული გამამტუნებელი განაჩენების არსებობის მიუხედავად, კვლავ ჩადიან ახალ დანაშაულებრივ ქმედებას, რაც შესაძლებელია მიუთიერდეს მართლმსაჯულების განმახორციელებელი ორგანოების ჰუმანური გადაწყვეტილებების მაპროვოცირებელ როლზე, რაც მათი მხრიდან მომავალში ხელახალი დანაშაულის ჩადენის მომეტებულ საფრთხეს წარმოადგენს და ვერ უზრუნველყოფს სასჯელის მიზნების განხორციელებას.

⁸⁷ მოსამართლემ აღნიშნული სასჯელი დანიშნა სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით. კერძოდ, ბრალდებულს სასჯელის ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლით ვადით განესაზღვრა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო სასჯელის დარჩენილი ნაწილი – თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, ჩაეთვალა პირობით და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

საქართველოში პრობლემურ საკითხს წარმოადგენს სიძულვილის ენის შემცველი განცხადებების სიხშირე ლგბტ+ პირთა მიმართ. ალ-ნიშნულს ამნვავებს სექსუალურ ორიენტაციასა და გენდერულ იდენტობასთან დაკავშირებული სტიგმაც, რომელიც საქართველოში ძალიან ძლიერია. ფაქტია, რომ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები ნებატოურ გავლენას ახდენს მათი ცხოვრების ხარისხზე.

სიძულვილის ენა ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ. ამათან გარკვეულ შემთხვევებში ამართლებს ან რეკლამას უწევს სიძულვილს, დისკრიმინაციას, მტრულ დამოკიდებულებას მათ მიმართ.

2016 წლის პირველ მარტს გამოქვეყნებულ ანგარიშში ევროპის საპატიოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულმა კომისიამ საქართველოს წინააღმდეგ აღნიშნა, რომ სიძულვილის ენის მასტაბი ლგბტ ჰინების მიმართ ფართოა და მოიცავს, როგორც ყოფით შეურაცხყოფას, ისე პოლიტიკოსების, უურნალისტების ან საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ გამოხატულ სიძულვილის შემცველ კომენტარებს.⁸⁸

ფაქტია, საქართველოში პომოფობიური განწყობების ხარისხი შემაშფოთებლად მაღალია. საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ლგბტ+ ჯგუფის წარმომადგენლების უფლებებისთვის ბრძოლა „ქართული ეროვნული ლირებულებების პირდაპირ და ძირითად წინააღმდეგობად და დასავლური გარყვნილების ქართველი ხალხის-თვის თავსმოხვევის მცდელობად განისაზღვრება“⁸⁹ და ძირითადად, ლგბტ+ აქტივიზმი „პომოსექსუალობის პროპაგანდად“ ირაცხება. ალნიშნულ თემატიკასთან დაკავშირებით, საინტერესოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ვეიდელანდი შვედეთის წინააღმდეგ,⁹⁰ რომელშიც სასამართლომ მიიჩნია, რომ მომჩივნობა დამნაშავედ ცნობა პომოფობიური პროპაგანდის შემცველი ბროშურების გავრცელების გამო, არ წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაც-

⁸⁸ ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ – მოხსენება საქართველოს შესახებ, მონიტორინგის მეხუთე ციკლი, 2015, §35.

⁸⁹ იხ.: <https://emc.org.ge/ka/products/statia-homonatsionalizmi-tu-homoseksualobis-propaganda-17-maisis-geopolitikuri-analizi>

⁹⁰ ვეიდელანდი შვედეთის წინააღმდეგ (VejdeLand and others v. Sweden), 11813/07, 9 თებერვალი, 2012, იხ.: [https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:\[%22001-109046%22\]}](https://hudoc.echr.coe.int/eng#%22itemid%22:[%22001-109046%22]})

ვის კონვენციის მე-10 მუხლის დარღვევას, რომელიც გამოხატვის თავისუფლებას იცავს. კერძოდ:

განსახილველ საქმეში შვედეთის უზენაესმა სასამართლომ 4 (ოთხი) პირი ცნო დამნაშავედ – სკოლებში ჰომოსექსუალიზმის წინააღმდეგ პროპაგანდის შემცველი განცხადებების მქონე ბროშურების გავრცელებისთვის.⁹¹ სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა უზენაეს სასამართლოს, რომ მომჩინენის მიზანი – დაწყო დებატები შვედეთის სკოლებში განათლების დაბალი ხარისხის შესახებ – იყო გამართლებული, თუმცა აუცილებელი იყო ბროშურების ფორმულირების გათვალისწინება, სადაც აღნიშნული იყო, რომ ჰომოსექსუალიზმი არის „ანომალიური სექსუალური მიდრეკილება“, მას გააჩნია საზოგადოებაზე „მორალურად დამანგრეველი გავლენა“ და პასუხისმგებელია ისეთი დაავადებების გავრცელებაზე როგორიცაა, აივ ინფექცია და შიდსი. ასევე ნათევამი იყო, რომ „ჰომოსექსუალიზმის ლობირებით“ ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პედოფილიას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ბროშურები პირდაპირ არ მოუწოდებდნენ ძალადობისკენ, ისინი მაინც მიჩნეულ იქნა სერიოზულად და ზიანის მომტან ბრალდებებად.

გამოხატვის თავისუფლების გათვალისწინებით, შვედეთის უზენაესმა სასამართლომ ცნო მომჩინენთა უფლება – გამოხატონ საკუთარი იდეები, თუმცა მანვე აღნიშნა, რომ ბროშურებში ასახული განცხადებები შეურაცხმყოფელი იყო. ამასთან, სასამართლომ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ბროშურები განთავსებული იყო სკოლის მოსწავლეების პირად ჩასაკეტ კარადებში, რაც მიჩნეულ იქნა ინფორმაციის თავზე მოხვევად. გარდა ამისა, ევროპულმა სასამართლომ დამატებით განმარტა, რომ ახალგაზრდები იმყოფებოდნენ მგრძნობიარე/სენსიტიურ ასაკში და ამასთან, ბროშურების გავრცელებას არც ერთი მომჩინა არ ესწრებოდა და არ ჰქონდათ თავისუფალი წვდომა ამ უკანასკნელზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ

⁹¹ ეროვნული სასამართლოს მიერ მომჩინებს მსჯავრი დაედოთ „ეროვნული ან ეთნიკური ჯგუფების წინააღმდეგ აგიტაციისათვის“, რომელსაც ითვალისწინებდა შვედეთის სისხლის სამართლის კოდექსის მე-16 თავის მე-8 მუხლი. ეს უკანასკნელი, იმ დროისთვის ასევე, მოიცავდა მუქარის შემცველ ან გამოხატულ შეურაცხყოფას პირთა ჯგუფის მიმართ სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებით.

მიიჩნია, რომ მომჩივანთა მიმართ არსებული ბრალდება და მათ მიმართ განსაზღვრული სასჯელი იყო ლეგიტიმური მიზნის პროცესული და რომ უზენაესმა სასამართლომ შესაბამისად და-ასაბუთა საკუთარი გადაწყვეტილება. ამრიგად, ეროვნული ხელისუფლების მიერ ჩარევა შეიძლება ჩაითვალოს როგორც აუ-ცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა რეპუტაცი-ისა და უფლებათა დასაცავად.

დაბოლოს, საქართველოს ხელისუფლების მიმართებით ევროპის საპატიოს რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპულ-მა კომისიამ კრიტიკულად შეაფასა 2013 წლის 17 მაისის მოვლენები და აღნიშნა, რომ მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან ძალადობრივი ქმედებების დაგმობის მიუხედავად, მათი განცხადებები არ შეეხებოდა ტოლერანტობისა და პატივისცემის შესახებ მოწოდებას ლგბტ პირთა მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში კი, მომხდარ ძალადობაში ფიგურირებდა ლგბტ ორგანიზაციათა დადანაშაულების დისკურსი, რომელიც მათ პროვოკატორებად მოიხსენიებდა.⁹² ასევე უნდა გავიხსენოთ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ,⁹³ სადაც სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო საკუთარი პროცედურული ვალდებულებების შესრულება გამოეძიებინა რა მოხდა 2012 წლის 17 მაისის ინციდენტის დროს, სადაც განსაკუთრებულად ხაზგას-მული იყო დისკრიმინაციული მოტივის აღიარება და იმ პირების გამოვლენა, ვინც ჰომოფობიური ძალადობის ჩადენაზე იყო პასუხისმგებელი.

⁹² ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ – მოხსენება საქართველოს შესახებ, მონიტორინგის მეხუთე ციკლი, 2015, §72.

⁹³ იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (Identoba and Others v. Georgia), №73235/12, 12 მაისი, 2015, იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3032951?publication=0>

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბოლო წლებში, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკანონმდებლო გარემოსა და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესების კუთხით, ქვეყანაში თანასწორობის უფლების დაცვა კელავ გამოწვევად რჩება.

არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევები ხშირია. ამასთან, თითქმის ყოველდღიურად გვესმის სიძულვილის ენა, რომელიც ხელს უწყობს მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების დამკვიდრებას ამა თუ იმ ნიშნით განსხვავებული ჯგუფების მიმართ. როგორც წესი, აღნიშნულ ჯგუფებში ძირითადად, შედიან განსხვავებული რასის, კანის ფერის, ეროვნების, ეთნიკურობის, სქესის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები. საქართველოში არსებულ სიძულვილის ენაში ძირითადად, მოიაზრება რასისტული, ქენოფობიური, ჰომოფობიური, ნაციონალისტური და სხვა სახის გამოვლინებები. შესაბამისად, ხშირია ძალადობისკენ და დისკრიმინაციისკენ მოწოდების ფაქტები, ზოგადი ხასიათის იქნება იგი თუ მიმართული კონკრეტული ადრესატისადმი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებელმა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლიბა არ დაადგინა სიძულვილის ენის გამოყენებაზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ქმნის მყისიერი, შეუქცევადი და აშკარა ძალადობის მუქარას.⁹⁴ კერძოდ, 2015 წელს სკა-დაემატა 239¹ მუხლი, რომლითაც დასჯადი გახდა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება „რასობრივი, რელიგიური, ეროვნული, კუთხური, ეთნიკური, სოციალური, პოლიტიკური, ენობრივი ან/და სხვა ნიშნის მქონე პირთა ჯგუფებს შორის განხეთქილების ჩამოსაგდებად, ძალადობრივი ქმედებისაკენ შეპირად, წერილობით ან გამოხატვის სხვა საშუალებით საჯაროდ მოწოდება თუ ეს ქმნის ძლადობრივი ქმედების განხორციელების აშკარა, პირდაპირ და არსებით საფრთხეს“.⁹⁵ ნორმის დისპოზიციიდან ჩანს, რომ დანაშაული დამთავრებულია არა ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯარო მოწოდების მომენტიდან, არამედ მაშინ, თუ ამ მოწოდებამ გამოიწვია კონკრეტული საფრთხე. კერძოდ, შექმნა ძალადობრივი ქმედების აშკარა, პირდაპირი და არსებითი საფრთხე. შესაბამისად, სიძულ-

⁹⁴ მესხორაძე ლ., საბაზისო კვლევა საქართველოში დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულებისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლაზე მიმართული ქმედებისთვის, 2018, გვ. 23.

⁹⁵ იხ.: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=213>

ვილის ენაზე *per se* გამოძიება არ ტარდება.

დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს კონკრეტულად სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს და არ ახდენს მის კრიმინალიზაციას, თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსი რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშით შეუწყნარებლობის საფუძველზე ჩადენილ დანაშაულს ბრალდებულის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნევს.⁹⁶ ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსი დისკრიმინაციას განიხილავს, როგორც ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს და ახდენს მის კრიმინალიზაციას.

კვლევის ფარგლებში განხილულ იქნა ბოლო წლებში გამოვლენილი რასობრივი ნიშით შეუწყნარებლობის რამდენიმე გახმაურებული შემთხვევა, რაც ძირითადად, განპირობებულია ქვეყანაში მომრავლებული და გააქტიურებულ ნეონაციისტური ჯგუფებით, რომლებიც გამოირჩევან აგრესიულობით, სიძულვილის ენით, ძალადობრივი მოწოდებითა და ცალკეულ შემთხვევებში, უცხოელებზე თავდასხმებით. ზოგადად, სასამართლოებში რასობრივი შეუწყნარებლობით მოტივირებული დანაშაულების განხილვის დაბალი სტატისტიკიკა არსებობს, რაც შესაძლებელია იმით აიხსნას, რომ გამოძიება საერთოდ არ იწყება, წყდება ან დაწყების შემთხვევაში, წარიმართება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით, რომლებშიც რასობრივი შეუწყნარებლობის მოტივით დანაშაულის ჩადენა არ ჩანს. ამასთან, ხშირად უცხოელები თავს არიდებენ მათ მიმართ განხორციელებულ სამართლებრივ დარღვევებზე პოლიციისათვის მიმართვას, რაც გამომდინარეობს უნდობლობით, შიშით, სამართლებრივი მექანიზმების არცოდნით და ზოგ შემთხვევაში, ენობრივი ბარიერითაც.⁹⁷

რასიზმთან დაკავშირებულ საქმეებს საერთო სასამართლოები იხილავენ ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციურ და საერთაშორისოსამართლებრივი სტანდარტების გათვალისწინებით. ძირი-

⁹⁶ სსქ-ის 53¹ მუხლის 1-ლი ნაწილი.

⁹⁷ https://www.tdi.ge/sites/default/files/tdi_angarishi_rasobrivi_diskriminacia_uchxoelebis_uplebebi.pdf გვ. 24.

თადაც, მათი კვლევის საგანი ხდება: 1) ბრალდებულები მოტივი-რებულები იყვნენ თუ არა რასობრივი შუღლით – აღნიშნული მიდგომა ნიშნავს დამტკიცდეს, რომ პირებს არ ამოძრავებდათ სუბი-ექტური ანუ პირადი მიდგომა; 2) დანაშაულებრივმა ქმედებამ არ-სებითად ხელყო თუ არა პოტენციური დაზარალებულის უფლება, რაც შეფასებითი ცნებაა და მხედველობაშია მისაღები ქმედების ჩადენის ადგილი, ვითარება, მისი ინტენსივობა და ხანგრძლივობა. ამასთან, სასამართლო ხაზს უსვამს, რომ მსგავსი ტიპის საქმეებში დამნაშავე პირის მიერ განხორციელებული ქმედება შესაძლებელია ერთი შეხედვით, არ იძლეოდეს დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას და ქმედების მონანილე მის მიერ ჩადენილ მოქმედებას არ აფასებდეს, როგორც სწორედ დაზარალებულის უფლების არსებით ხელყოფას, თუმცა აღნიშნულ შეფასებაში დიდწილად, სწორედ მსხვერპლის პერცეფციაზე მოდის, რადგან ადამიანის დამცირებისას, სწორედ დაზარალებულის მიერ ხდება რეალური სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, რაც თავის მხრივ, დაზარალებულის ფსიქიკიდან გამომდინარე სხვაგვარად ხელყოფს მის უფლებას.

გარდა ამისა, მეორე ინსტანციის სასამართლომ ერთ-ერთ გახმაურებულ საქმეზე, რომელიც ეხებოდა ულტრანაციონალისტური მოძრაობების მიერ მარჯანიშვილის გამზირზე ჩატარებული მარშის დროს გამოვლენილი ძალადობის, აგრესიის, დისკრიმინაციისა და ქსენოფონბის შემთხვევებს, ხაზგასმით მიუთითა სახელმწიფოს მიერ შესასრულებელ ვალდებულებებზე და განმარატა, რომ „იმ სისხლის სამართლის სამართლის საქმეებში, სადაც შესაძლებელია იკვეთებოდეს დისკრიმინაციული მოტივები და სიძულვილის ენის ტირაჟირება, სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა, გამოძიება არ იყოს ზერელე, არასაკმარისი, არ შემოიფარგლებოდეს მტკიცებულებების მოჩვენებითი სიმრავლით და არსებობდეს რეალური ინტერესი ეფექტიანი გამოძიებისა და ნამდვილი დამნაშავეების სათანადო დასჯებას“.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ საქართველოში კვლავ აქტუალურია რელიგიურ უმცირესობებზე თავდასხმის შემთხვევები. კერძოდ, წინამდებარე კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით, რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე ჩადენილი ყველა დანაშაული მიმართული იყო იეზოვას მონწმეების წინააღმდეგ. იეზოვას მონწმეების მიმართ განხორციელებული აგრესია ძირითადად, გამოიხატება სტენდების დაზიანებასა და რელიგიური ლიტერატურის განადგურებაში. ამასთან, აღნიშნულ ქმედებებს თან ახლდა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა. შესწავლილი საქ-

მეების მიხედვით, აგრესია როგორც წესი, საჯარო სივრცეში ვლინდება და იეპოვას მოწმეებს უმეტესად ქუჩაში მსახურობის დროს უსწორდებიან კერძოდ, რელიგიური ლიტერატურისა და ბუკლეტების გავრცელების დროს. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული თემი ყველაზე აქტიურად ეწევა პროზელიტიზმურ საქმიანობას და სწორედ ამიტომ ყველაზე ხშირად განიცდის დისკრიმინაციულ, ძალადობრივ და წინასწარ განწყობებზე დაფუძნებულ ნეგატიურ დამოკიდებილებებს.

იეპოვას მოწმეების წინააღმდეგ ჩადენილმა სამართალდარღვევების ანალიზმა ცხადყო, რომ საკვლევი პერიოდის განმავლობაში, საქართველოს პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებს ერთი განაჩენი აქვთ მიღებული სსკ-ის 155-ე მუხლის საფუძველზე, ხოლო ოთხი – სსკ-ის 156-ე მუხლის საფუძველზე. ყველა აღნიშნულ საქმეზე დადგა გამამტყუნებელი განაჩენი. თუმცა, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი გარკვეულ შემთხვევებში, მიუთითებს იეპოვას მოწმეთა მიმართ ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, სასამართლოს მიერ სისხლს-სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრისას გარკვეულ ლოიალურ დამოკიდებულებაზე, რამაც შესაძლოა გაზარდოს რეციდივის ალბათობა.

კვლევის ფარგლებში, საერთო სასამართლოებიდან მიღებული განაჩენების მიხედვით, მხოლოდ ერთ საქმეში ფიგურირებდა ადამიანის დევნა – სიტყვის, აზრის გამო და მის პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. კერძოდ, ბრალდებულებისთვის მიუღებელი იყო უურნალისტების მიერ შექმნილი გადაცემები რელიგიურ თემებზე, მათ მიერ გამოხატული აზრი და შეხედულებები მართმადიდებლურ ეკლესიასთან მიმართებაში. აღნიშნულ საქმეში სასამართლო დეტალურად შექმნა, როგორც დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, ისე ყველა იმ სადაცი შეფასებას, რომლებიც ბრალდებისა და დაცვის მხარის მიერ იქნა გაუღერებული სასამართლო სხდომაზე. სასამართლომ დანაშაულებრივი ქმედება სიღრმი-სეულად განმარტა სამართლებრივ ჭრილმი (იხილეთ 38-ე გვერდი).

საქართველოში, ოჯახში ძალადობა და ქალთა მიმართ ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმებია. კვლევამ ცხადყო, რომ საქართველოს საერთო სასამართლოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა გამომძიებელთა ცნობიერება სიძულ-

ვილით მოტივირებულ დანაშაულების შესახებ და შესაბამისად, დაიხვენა გამოძიების პროცესში მოტივის იდენტიფიკაციის ტექნიკა, რამაც პირდაპირპროპორციულად გააუმჯობესა სასამართლოების მიერ სსკ-ის 53¹ მუხლის გამოყენების მაჩვენებლი, რომლის გამოყენების დაბალი პრაქტიკა წლების განმავლობაში კრიტიკის საგანი იყო.

დაბოლოს, საქართველოში განხორციელებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებების მიუხედავად, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევები, ისე საერთაშორისო ინსტიტუციების მიერ მომზადებული ანგარიშები ადასტურებს, რომ ჰომო/ბი/ტრანსფორმიური დანაშაული და დისკრიმინაცია სექსუალური ორიენტაციის/გენდერული იდენტობის საფუძველზე საკმაოდ გავრცელებულია.

ქვეყანაში არსებული რეალობა ცხადყოფს, რომ არაერთი შემთხვევა არსებობს ლგბტ+ თემის წარმომადგენლების მიმართ განხორციელებული ძალადობისა, დაწყებული ინდივიდებზე თავდასხმებით საჯარო ადგილებში და ზოგჯერ მათ სახლებშიც კი – დამთავრებული ლგბტ ღონისძიებებზე ძალადობის გამოვლენით.

ფაქტია, საქართველოში ჰომოფობიური განწყობების ხარისხი შემაშფოთებლად მაღალია. საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის ლგბტ+ ჯგუფის წარმომადგენლების უფლებებისთვის ბრძოლა „ქართული ეროვნული ლირებულებების პირდაპირ და ძირითად წინააღმდეგობად და დასავლური გარყენილების ქართველი ხალხის-თვის თავსმოხვევის მცდელობად განისაზღვრება“⁹⁸ და ძირითადად, ლგბტ+ აქტივიზმი „ჰომოსექსუალობის პროპაგანდად“ მიიჩნევა. შესაბამისად, ლგბტ+ ადამიანები საქართველოში არიან ძალადობის, შევიწროების, დევნის, შეუწყნარებლობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლი. ანგარიშის მომზადების პერიოდში შესწავლილი გადაწყვეტილებების მიხედვით, მათ მიმართ გამოვლენილი ძალადობა და უთანასწორო მოპყრობა ძირითადად, ვლინდება ოჯახში და საჯარო სივრცეში ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობის, მარგინალიზაციისა და სოციალური გარიყვის სახით. ამასთან, შესწავლილი საქმეებს მიხედვით, ხშირია ლგბტ+ პირებზე სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ძალადობის ფაქტები. ძალადობა განსაკუთრებით მწვავე ფორმას იძენს იმ შემთხვევაში, როდესაც ტრანსგენდერი ადამიანები სა-

⁹⁸ იხ.: <https://emc.org.ge/ka/products/statia-homonatsionalizmi-tu-homoseksualobis-propaganda-17-maisis-geopolitikuri-analizi>.

ზოგადოებაში იმ გარეგნობით თუ სოციალური როლით ჩნდებიან, რომელიც მათ ბიოლოგიურ სქესს არ შეესაბამება.

გარდა ამისა, პრაქტიკაში გვაქვს შემთხვევები, როდესაც ლგბტ+ თემს მიკუთვნებული ბავშვების უფლებები არსებითად ირღვევა ოჯახის წევრების მხრიდან. როგორც წესი, მშობლების მხრიდან ძალადობა ხორციელდება მაშინ, როდესაც ისინი შეიტყობენ არას-რულწლოენის რეალურ ან ნავარაუდევი ორიენტაციისა თუ გენდე-რული იდენტობის შესახებ, ან თუ ჩნდება ეჭვი ბავშვის ქცევაში, რომელიც არ შეესაბამება სოციალურად ჩამოყალიბებულ გენდე-რულ ნორმებს. დანაშაულები, რომელთაც ლგბტ+ ჯგუფის წევრე-ბი იჯახის წევრების მხრიდან ექვემდებარებიან, მათი ორიენტა-ციის, გენდერული იდენტობისა თუ გენდერული გამოხატვის გამო, ნარმოადგენს შეუწყნარებლობით ჩადენილ მართლსაწინააღმდე-გო ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საზოგადოებაში მუდმივად უნდა იგმობოდეს ძალადობა. სახელმწიფომ უნდა გა-დადგას ქმედითი ნაბიჯები სისულვილის გამოხატვისა და უმცი-რესობების მიმართ შუღლის გამზვავებისა და დისკრიმინაციის სა-წინააღმდეგოდ, მაგრამ არა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდ-ვის ხარჯზე. სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებე-ბით უნდა გაუმჯობესდეს უმცირესობების ნდობა, რომ სახელმწი-ფოს აქვს უნარი დაიცვას ისინი ძალადობრივი ქმედებებისგან.

დანართი

დანართის სახით გთავაზობთ საინტერესო ინფორმაციას, რომელიც „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერი ჯგუფის“ (WISG) მიერ განხორციელებულ კვლევაში – „სიძულვილით მოტივირებული დანაშაული ლგბტ პირთა მიმართ გამოწვევები და პერსპექტივები“ იყო მოცემული.⁹⁹ კერძოდ:

სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის გამოძიების FBI-ს სახელმძღვანელოს მიხედვით, სიძულვილის მოტივი დგინდება შემდეგი კრიტერიუმების გამოყენებით:

- 1) დამნაშავე და მსხვერპლი არიან სხვადასხვა რასის, რელიგიის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის და გენერული იდენტობის მატარებელი პირები. მაგალითად, მსხვერპლი არის აფროამერიკელი, ხოლო დამნაშავე თეთრკანიანი;
- 2) დამნაშავის მხრიდან ადგილი ჰქონდა მსხვერპლის მიმართ სიძულვილის შემცველ ზეპირ გამონათქვამებს, წერილობით მიმართვას ან უესტიულაციას. მაგალითად, დამნაშავე მსხვერპლს მიმართავდა რასისტული ეპითეტით;
- 3) სიძულვილის გამომხატველი ნახატი, ნიშანი, სიმბოლო, გრაფიტი იქნა დატოვებული დანაშაულის ადგილზე. მაგალითად, დამნაშავემ სვასტიკა დახატა სინაგოგაზე, მეჩეთზე და ლგბტ პირთა ცენტრში;
- 4) დანაშაულის ჩადენის ადგილზე დატოვებული იქნა სპეციფიკური საგანი, რაც მიუთითებს სიძულვილის მოტივზე, მაგალითად, დამნაშავეს ეხურა თეთრი ქუდი და დაწვა ჯვარი (იყო კუკლუქ კლანის წევრი).
- 5) მსხვერპლი არის ისეთი სპეციფიური ორგანიზაციის წევრი, რომელსაც ემიჯნება იმ დასახლების მაცხოვრებელთა აბსოლუტური უმრავლესობა, სადაც მსხვერპლი ცხოვრობდა და დანაშაული მოხდა;
- 6) მსხვერპლი იმყოფებოდა ისეთ ადგილას, სადაც ადრე მოხდა სიძულვილით მოტივირებული დანაშაული მსხვერპლის რასის, რელიგიის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის გამო და სადაც მსხვერპლის ჯგუფის მიმართ მტრობის

⁹⁹ იხ.: https://women.ge/data/policy%20paper/WISG_hate-crime_policy_paper_ILGA-2016.pdf გვ. 49-51.

ხარისხი ძალიან მაღალია.

- 7) ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ადგილას მოხდა რამდენიმე დანაშაული, რომელიც ჩადენილი იყო ერთი და იმავე რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის და გენდერული იდენტობის მქონე პირის მიმართ.
- 8) იმ დასახლების მაცხოვრებელთა მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ, სადაც ინციდენტი მოხდა, დანაშაული აღქმული იქნა როგორც სიძულვილის მოტივით ჩადენილი;
- 9) მსხვერპლი ეწეოდა ისეთ საქმიანობას, რაც დაკავშირებული იყო საკუთარი რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის გაძლიერებასთან. მაგალითად, მსხვერპლი იყო ფერადკანიანი ადამიანების მხარდაჭერის ეროვნული ასოციაციის წევრი ან მონაწილეობდა ლგბტ აღლუმში.
- 10) ინციდენტი მოხდა შესაბამისი რასის, რელიგიის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის დღესასწაულზე ან მათვის ღირშესანიშნავ დღეს, მაგალითად, მარტინ ლუთერ კინგის დღე, ტრანსგენდერის ხსოვნის დღე;
- 11) დანაშაულის ჩამდენი პირი ადრე მონაწილეობდა მსგავსი დანაშაულის ჩადენაში ან არის რასისტული, ქსენოფობიური ან ჰომოფობიური ჯგუფის წევრი;
- 12) რადიკალური ჯგუფის მონაწილეობაზე მინიშნება, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის შემდეგ რადიკალურმა დაჯგუფებამ პასუხისმგებლობა აიღო დანაშაულზე ან ეს დაჯგუფება დანაშაულის ჩადენის ადგილას აქტიურია.
- 13) არსებობს ისტორიული დაპირისპირება დამნაშავისა და დაზარალებულის ჯგუფებს შორის.
- 14) დაზარალებული თავად არ არის მიზანში ამოღებული რასობრივი, რელიგიური, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური, სქესის, გენდერული იდენტობის ჯგუფის წევრი, მაგრამ მსხვერპლი საჯაროდ მხარს უჭერს მოწყვლად ჯგუფს.

ზემოხსენებულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით, FBI-ს ინ-

სტრუქციებში ვხვდებით გაფრთხილებას; იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული გამომძიებლის მიერ მოტივთან დაკავშირებით შეცდომის დაშვება, გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შემდეგ გარემოებებს;

1. **სახეზეა შეცდომაში შემყვანი ფაქტი – მაგალითად, დამნაშავემ მსხვერპლის მიმართ გამოიყენა რასისტული ეპითეტი, მაგრამ სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულს ადგილი არ აქვს, ვინაიდან მსხვერპლიც და დამნაშავეც ერთი და იმავე რასის წარმომადგენელია.**
2. **დამნაშავემ მოახდინა სიძულვილის დანაშაულის ინსცენირება – კათოლიკური სკოლის კათოლიკე მოსწავლემ დააზიანა საკუთარი სკოლის შენობა. სკოლაში დატოვა ანტიკათოლიკური წარწერები, იმისათვის რომ გაკვეთილი გაცდენილყო.**
3. **დამნაშავემ მსხვერპლი შეცდომით მიაკუთვნა მიზანში ამოდებულ ჯგუფს – თუნდაც დამნაშავე ცდებოდეს მსხვერპლის რასის, რელიგიური კუთვნილების, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური კუთვნილების, სქესის, გენდერული იდენტობის ნიშანში, სახეზე მაინც გვექნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, ვინაიდან დანაშაული არ მოხდებოდა დამნაშავეს მტრული დამოკიდებულება რომ არ ჰქონოდა კონკრეტული ჯგუფის მიმართ. მაგალითად, სამუალო ასაკის ჰეტეროსექსუალი მამაკაცი მოძრაობდა იმ ბარის მიმართულებით, სადაც ხმირად გეი მამაკაცები იკრიბებიან. ამ დროს აღნიშნულ ჰეტეროსექსუალ მამაკაცს თავს დაესხა 6 ახალგაზრდა, რომელსაც მსხვერპლი ბარიდან გამოსულ ჰომოსექსუალში აერია. მოცემულ შემთხვევაში ახალგაზრდებს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს სექსუალური ორიენტაციის სიძულვილის მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის.**
4. **მოტივის ცვლილება ახალი მტკიცებულების აღმოჩენის გამო – შესაძლოა თავდაპირველად, დანაშაული არ იყოს სიძულვილის მოტივით ჩასდენილი, მაგრამ ეს გარემოება გამოძიების შემდეგ ეტაპზე გამოიკვეთოს. ასევე შესაძლოა თავდაპირველად, არსებობდეს მტკიცებულება, რომ დანაშაული რასობრივი სიძულვილის მოტივით მოხდა, თუმცა მოგვიანებით, შესაძლოა დადგინდეს რელიგიური სიძულვილის მოტივი. ახლადაღმოჩენილ მტკიცებულების შედეგად უნდა ხდებოდეს მონაცემების განახლება. FBI თავის ბაზაში არ ასახავს სასამართლოს მიერ დადგენილ მოტივს.**

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge